www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 31 აგვისტო, 2012 წელი. | №3101 (194) | ფასი 50 თეთრი

ლოპოტას ხეობაში ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია

თანამედროვე საქართველოში ლეკიანობის დრო აღარ არის. კახეთის მოსახლეობა დარწმუნდა, რომ საქართველოში ხალხი დაცულია, - ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა სოფელ ლაფანყურში გააკეთა. ქვეყნის პირველი პირი გუშინ სოფლის მაცხოვრებლებს შეხვდა, ლოპოტას ხეობაში მიმდინარე ოპერაციის დეტალებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა, ადგილობრივები გაამხნევა და გვერდში დგომას დაპირდა.

ლოპოტას ხეობაში ოპერაცია მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.

ხეობაში დარჩენილი დივერსიული დაჯგუფების წევრები, რომლებიც საქართველოს შსს-ს ქვედანაყოფების მიერ ალყაში იყვნენ მოქცეული, ქართველი სამართალდამცავების მოთხოვნას - მშვიდობიანად ჩაბარებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ზღვარს მიღმა

ეკა კვესიტაძე

ეს ფეისბუკის ის გამორჩეული პოსტებია, რომელთა დაწერის ინსპირაცია ავტორებს ლაფანყურის სპეცოპრაციის შეფასებებმა მისცა. მათ შორის ლოგიკური კავშირის ახსნას ოდნავ ქვემოთ შევეცდები, მანამდე მინდა იმ შეკითხვებით დავიწყო, რომლებიც ამ სპეცოპრაციასთან დაკავშირებით გაჩნდა და რომელთა ნაწილი სრულიად ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

საქართველოს ჰიმნი "ჭრელო პეპელა" უნდა იყოს.

ქეთი დევდარიანი

იმაზე ხომ შევთანხმდით, რომ ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნო, ყველაფერზე წახვალ... აღმოჩნდა, რომ ოღონდ ძალაუფლება მოიპოვო, ასევე ყველაფერზე წახვალ:(

გოგი გვახარია

ერთი რამ ავიწყდებათ. როდესაც საუბრობენ პოლიტიკურ თეატრზე, რუსთაველის თეატრს წარმოიდგენენ, სადაც დახოცილი ადამიანები კულისებში გრიმს მოიცილებენ და ტროლეიბუსით წავლენ სახლში.

არ არის ასე, ის გარდაცვლილი ბიჭები ვერსად ვეღარ წავლენ, ჩვენი ცხოვრებიდან მიდიან. პოლიტიკურ თეატრში რობერტ სტურუას სპექტაკლი კი არ იდგმება, რეალურად დაიღუპა ის ხალხი და სხვათა შორის ჩვენი უსაფრთხოებისთვის.

ირაკლი მარგველაშვილი

"თავდაცვის რაზმები" შეიარაღებული იატაკქვეშეთის წინააღმდეგ?

სალომე ჯანიაშვილი

სამშაბათს დაღესტანში მოკლეს 75 წლის მუსულმანი ღვთისმეტყველი საიდ აფანდი აცაევი (საიდ აფანდი ალ-ჩირკავი) და კიდევ ექვსი მისი მიმდევარი, რომლებიც იმ კონკრეტულ მომენტში მის გვერდით იყვნენ. თვითმკვლელი ქალი აცაევის სახლში მომლოცველის ფორმაში გამოწყობილი შევიდა, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა (ამის შესახებ გუშინ უკვე წერდა "24 საათი").

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ფიროსმანის ფენომენის ძიებაში

ბელა ჩეკურიშვილი

ნიკო ფიროსმანი ის სახელია, რომელზეც მე-20 საუკუნის (და ახლა უკვე 21-ესიც) ქართველი ადამიანი თავისი ეროვნების იდენტიფიცირებას ახდენს ღვინოსთან, ტაძრებთან, ფოლკლორულ სიმღერასა და ცეკვასთან. და გარდა იმისა, რომ ფიროსმანი გენიალური მხატვარია, იგი ერთგვარი იდუმალებით მოცული ლეგენდაა, თავისი ცხოვრების წესით, ურთიერთობებით, სიკვდილით.

ყველას ჩვენი ფიროსმანი გვყავს - იმის მიხედვით, როდის, რა ასაკში, რა განწყობით აღმოვაჩენთ მას.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6509₾
1 ევრო	2.0682₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6106₾
1 თურქული ლირა	0.9177₾
100 რუსული რუბლი	5.1801₾

თბილისი	32°C - 20°C
ქუთაისი	27°C - 15°C
თელავი	32°C - 12°C
ზუგდიდი	26°C - 13°C
ბათუმი	24°C - 17°C

ნავთობი	3.12	-0.01	-0.28%
გაზი	2.67	+0.04	+1.46%
ოქრო	1,660.90	-8.80	-0.53%
ხორბალი	905.75	+30.25	+3.34%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კიმ კლაისტერსი, კარგი დედა ბელგიიდან

ზურაბ თალაკვაძე

აგვისტო კიმ კლაისტერსის თვეა. 1997, 17 აგვისტო - ბუთხუზა ბელგიელს გოგონების საჩოგბურთო სადაქალოს (WTA) ვიზა ჩაურტყეს. 2003, 4 აგვისტო - კიმი წყვილებში რეიტინგის პირველი ნომერი გახდა. 2003, 11 აგვისტო - ერთ კვირაში ჩვენი გოგო ერთეულებშიც მერილ სტრიპი, პირველია და კიმმა პირადულშიც დაგლიჯა, ლეიტონ ჰიუიტი მოხსნა. 2009, 11 აგვისტო - კიმი ორწლიანი დასვენების შემდეგ ბრუნდება საჩოგბურთო გარჩევებში. 2012, 30 აგვისტო - კიმი დაიღალა, ბოლო თამაში ბრიტ ლორა რობსონთან 6:7, 6:7 დატოვა და მერე WTA დატოვა. კიმმა უნდა დაისვენოს. ოჯახთან, გაზრდილ ოანავართან, საყვარელ ჯადასთან და ქმართან ერთად. ჩოგბურთი მორჩა. კიმ კლაისტერსი წავიდა. ჩოგბურთი კიდევ უფრო ერთჯერადი და უმუღამო გახდა.

რობსონი კარგი ვინმეა. პირველ ასეულში ყველაზე ახალგაზრდა გოგონამ დედოფალი გააჩერა, მარაო წაართვა და სარკეში არ ჩაახედა. რობსონი 18 წლის არის. თითქმის თვრამეტის იყო კიმიც, 11 წლის წინ როლან გაროს ფინალში რომ შეისეირნა. კლაისტერსი და ჟუსტინ ანენი ჩოგბურთელების ამერიკულ (სერენა უილიამსი, ვენუს უილიამსი, ლინდსი დევენპორტი) და ელეგანტურ (მარტინა ჰინგისი, ანა კურნიკოვა) უბნებში ბელგიურად, ელეგანტურად საუბრობდნენ და ამ ჭორაობაში ლიდერებს დისკომფორტი შეუქმნეს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

გორული ზღაპარი დასრულდა

არადა, თითქოს რა ახლოს იყო ევროპის ლიგა. თითქოს გორის "დილამ" ევროპულ ასპარეზზე შეაბიჯა, მაგრამ....

სადებიუტო სეზონში ევროპული საკლუბო ფეხბურთის რანგით მეორე ტურნირში მოხვედრა ძალიან ძნელია, მეტიც ეს, ალბათ შეუძლებელიცაა, თუ შენს გუნდს რომელიმე მილიარდერი არაბი შეიხი არ პატრონობს.

გორის "დილამ" ქართველ ქომაგს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა. თავად განსაჯეთ, გუნდმა, რომელიც ქართული საკლუბო ფეხბურთის გრანდებსაც კი არ განეკუთვნება, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი რაუნდი დამაჯერებლად გადალახა და ამ გუნდს ოდნავ მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, წესით "მარიტიმუსაც" გაივლიდა და ჯგუფურ ეტაპზეც მოხვდებოდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

გურულის მცდელობები უშედეგო გამოდგა

მამუკა კაციტაძე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის საქმიანობისგან სამართლებრივ დისტანცირებას აპირებს

ახალი მემარჯვენეების" საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატი მამუკა კაციტაძე მას შემდეგ, რაც ცესკო მის კანდიდატურას ოფიციალურად დაარეგისტრირებს, კომისიის საქმიანობისგან დისტანცირებას მოახდენს.

"უპირველეს ყოვლისა, მე ვუბრუნდები პარტიულ საქმიანობას. სამართლებრივი შეუთავსებლობა ამ კომისიის თავმჯდომარეობასა და კანდიდატობას შორის არ არსებობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავხდები ოფიციალური კანდიდატი, მე მოვახდენ დისტანცირებას კომისიის საქმიანობასთან. ეს არ ნიშნავს ჩემი მხრიდან ან პასუხისმგებლობის მოხსნას, ან საბოლოო დისტანცირებას. უფრო მეტიც, სიების საკითხზე ჩვენ მონიტორინგს აუცილებლად გავაგრძელებთ," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

თუ რა ფორმით მოხდება სამართლებრივი დისტანცირება კომისიის საქმიანობისგან, ამასთან დაკავშირებით კაციტაძე განცხადებას მას შემდეგ გაიკეთებს, რაც ცესკო მის კანდიდატურას დაარეგისტრირებს.

დავით გამყრელიძე კენჭს ვაკეში იყრის

"ახალი მემარჯვნეების" ლიდერი დავით გამყრელიძე ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება. დავით გამყრელიძემ "ახალი მემარჯვენეების" თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები დღეს დაასახელა. მისი თქმით, საბურთალოზე კენჭს მამუკა კაციტაძე იყრის, დიდუბეში - გიორგი ლორთქიფანიძე, გლდანში - ავთანდილ სულაქველიძე, ნაძალადევში - გიორგი ჩიბუხაშვილი, ჩუღურეთში - გიორგი საბანაძე, კრწანისში - ლევან ხურცილავა, ისანში - რევაზ სოხაძე.

"მემარჯვენეებს" მაჟორატირობის კანდიდატები სამგორისა და მთაწმინდის რაიონებში არ ეყოლებათ. როგორც დავით გამყრელიძე აცხადებს, ამ ორ რაიონში "მემარჯვენეები" მაჟორიტარების წარსადგენად მზად არ აღმოჩნდნენ.

"მემარჯვენეები" მაჟორიტარად წარდგენისას აქცენტს საკუთარი გუნდის წარმომადგენლებზე ვაკეთებთ, იმ ადამიანებზე, რომლებმაც წლების განმავლობაში დაამტკიცეს ერთგულება პრინციპებისა და გუნდის მიმართ და აქვთ უნარი, ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთონ საკუთარი რაიონისთვის და თანამოქალაქეებისთვის საჭირო საქმე," - განაცხადა გამყრელიძემ.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ლოპოტას ხეობაში ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია

პირველი გვერდიდან

ოფიციალური ინფორმაციით, ისინი ლოპოტას ხეობის ზედა ნაწილში ძნელად მისადგომ ადგილას იყვნენ გამაგრებული, მისასვლელი გზები კი დანაღმული ჰქონდათ.

გუშინ, დილიდან, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სამხედრო დანაყოფების ნაწილები, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კატასტროფის ბრიგადები ეტაპობრივად ტოვებდნენ ხეობას და იქ გამნაღმველები და პოლიციელები რჩებოდნენ. ასევე ცნობილი იყო, რომ დაჭრილებისა და დაღუპულების რიცხვი არ გაზრდილა, დივერსანტების მძევლობიდან გათავისუფლებული ახალგაზრდები უკვე საკუთარ ოჯახებში იმყოფებოდნენ და სოფელ ლაფანყურის მოსახლეობა კვლავ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

ოპერაციის ძირითადი ფაზა, დასრულებულად, გუშინ, დღის პირველ ნახევარში გამოცხადდა.

"შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის ცხედარი ნაპოვნია. მათი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან, ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მოხდება მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე დაჭრილი წევრი შეიძლება იმალებოდეს ხეობაში. დივერსანტთა ჯგუფი სავარაუდოდ 20 შეიარაღებული პირისაგან შედგება. პოლიცია აგრძელებს ძებნის ღონისძიებებს. ხეობაში მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ," - განაცხადა თელავის სამხარეო სამმართველოს შენობაში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა.

მოგვიანებით, სპეციალურად გაკეთებული განცხადებით, ოპერაციის ძირითადი ეტაპის დასრულება დაადასტურა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოებაზე გაამახვილა ყურადღება.

"მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ყველა იმ თანამშრომელს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ოპერაციაში. მინდა, სამძიმარი გამოვუცადო ყველა გარდაცვლილის ოჯახს და ვთქვათ, რომ ამ ოჯახებზე ზრუნვა იყო, არის და ყოველთვის იქნება ჩვენი მთავარი საზრუნავი. ვიცი, რომ დაჭრილების მდგომარეობა სტაბილურია, მათზე პირადად ზრუნავს მინისტრი ჭიაბერაშვილი. საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას, სტაბილურობას და საქართველო არასოდეს დაუბრუნდება იმ დროს, როცა ის ვერ ახერხებდა თავისი მთავარი პრინციპების დაცვას - მოქალაქეებისა და საზოგადოებაში უსაფრთხოების, წესრიგის დაცვას. ჩვენ ვაძლიერებთ ეკონომიკის განვითარებას და ამისთვის აუცილებელი პირობა უსაფრთხოებაა," - განაცხადა მერაბიშვილმა.

შინაგან სამეთა სამინისტროს მონაცემებით, ლოპოტას ხეობაში, ოპერაციისას, გარდაიცვალნენ შსს-ს თანამშრომლები სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი. გარდაცვლილია ასევე, სამხედრო ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე.

ერთ-ერთი დაჭრილი, ზურაბ ზურაბიშვილი ქვეყნის პრეზიდენტმა გუშინ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, ჯანდაცვის მინისტრთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად მოინახულა.

პრეზიდენტის განცხადებით, ზურაბ ზურაბიშვილი, ლოპოტას ხეობის მეორე მხარეს, ნაღმზე აფეთქდა და მის გამოყვანას სამ საათზე მეტი დრო დასჭირდა.

"ეს იყო ცეცხლის ქვეშ ხელით ტარების რამდენიმე საათიანი ოპერაცია. იმ ადამიანებიდან, ვინც დაჭრილის გამოყვანაზე მუშაობდა, ორი დაიჭრა, ექიმი ლადო ხვედელიძე კი ამ ოპერაციას შეეწირა - ადამიანი რომელიც მიდიოდა პაციენტის გადასარჩენად. პაციენტი გადარჩა და თვითონ დაიღუპა. ეს ნამდვილი გმირობის ძალიან კარგი მაგალითია. ჩვენი მთავარი პრინციპი არის ის, რომ ჩვენ მებრძოლებს თუნდაც ყველაზე რთულ სიტუაციაში არ ვტოვებთ," - განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის თქმით, ყველა დარწმუნდა, რომ ვერც პანკისში ბასაევის თარეში და ვერც მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეების ლეკიანობას კახეთში ველარავინ გაიმეორებს.

"ქედს იქითაც ჩვენი ძმები არიან, მაგრამ შეუძლიათ ჩამოვიდნენ მშვიდობიანად, სასაუბროდ, სავაჭროდ, საურთიერთოდ, სუფრაზეც დიდი სიამოვნებით ყველას მივიღებთ. ჩვენი ბიჭები, ჩვენი სპეცრაზმელები ძალიან ყოჩაღად მოიქცნენ, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც. თუმცა ეს რომ დაგვეშვა, შესაძლოა მერე უფრო დიდი კრიმინალს მოეკიდებინა ფეხი. ხელის აღმართვა ჩვენს მოქალაქეებზე არავის არ ეპატიება,» - განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა ლაფანყურის მოსახლეობას.

მოგვიანებით, პრეზიდენტმა, ყვარელში, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან ერთად, ლაფანყურის ოპერაცია შეაფასა. პრეზიდენტის თქმით, სპეცოპერაცია ურთულესი იყო, რომლის წარმატებით განხორციელებაც, ასეთი რთული რელიეფის პირობებში, ბევრ დიდ და კარგად აღჭურვილ სახელმწიფოს გაუჭირდებოდა. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, მომხდარის ორგანიზატორებს რამდენიმე ამოცანა ჰქონდათ, მათ შორის, იყო ქართული საბრძოლო მზადყოფნის გამოცდა. მტრის კიდევ ერთ ამოცანას, პრეზიდენტის თქმით, პროვოკაციის მოწყობა წარმოადგენდა.

"ლოპოტას ხეობაში ჩატარებული ოპერაცია ყველასთვის ჭკუის სასწავლებელია. ყველა უნდა გაფრთხილდეს. საქართველოში წინ და უკან სიარული, მით უმეტეს, ყუმბარმტყორცნებით და ხალხის გატაცება, თითქოს პირუტყვები იყვნენ, ასევე ჩვენს პოლიციაზე ხელის აღმართვა, ისჯება ისე, როგორც დაისაჯა გუშინ და გუშინწინ. ჩვენი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი არის უსაფრთხოება - საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა, ევროპაში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. **მშვიდობით მოსულს საქართველოში მხოლოდ მშვიდობით ხვდებიან. შეიარაღებული ჯგუფის წევრებს ჩვენ ალალად შევთავაზეთ, ყველა ღირსების დაცვით, კანონის ფარგლებში ჩაბარება, მაგრამ მათ ეს გზა აირჩიეს და ჩვენ სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს,"** - განაცხადა ქვეყნის პირველმა პირმა.

დღის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გადაღებული კადრები და იმ მესაზღვრის კომენტარები გაავრცელა, რომელიც ლაფანყურში, დივერსანტების მიერ დატყვევებულ ხუთ ახალგაზრდას მძევლად ჩაენაცვლა. მესაზღვრე ყვება, რომ ახალგაზრდების საძებნელად წასულს, მეგობრებთან ერთად, ათმა შეიარაღებულმა პირმა ალყა შემოარტყა. შეიარაღებულებმა ისინი ავტომანქანიდან იძულებით გადმოიყვანეს და უთხრეს, რომ მათი მძევლები იყვნენ. **"ამის შემდეგ გამოჩნდა ამ შეიარაღებული დაჯგუფების კიდევ რამდენიმე წევრი ხუთ დაკარგულ ახალგაზრდასთან ერთად. შეიარაღებულ პირებს ვუთხარი, რომ მე იქ ვიყავი სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელი და ამ სექტორის უფროსი, მე უფრო ღირებული ვიქნებოდი მათთვის და ვთხოვე, გაეთავისუფლებინათ მძევლობიდან ჩემი თანამშრომლები და ის ხუთი ახალგაზრდა. რაღაც პერიოდის შემდეგ, ისინი დამთანხმდნენ. ჩემთვის უცნობი იყო, რა მიზანი ამოძრავებდათ შეიარაღებულებს. მათ ჰქონდათ მძიმე შეიარაღება, ყუმბარმტყორცნები, ტყვიამფრქვევები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ჩვენ ჩავედით დაბლა, ხეობაში, სადაც მოვიდა შსს-ს წარმომადგენელი. შსს-ს წარმომადგენელთან საუბრის მერე მითხრეს, რომ მე მათთვის აღარ ვიყავი საჭირო და გამომიშვეს,"** - ასე იხსენებს მესაზღვრე ხანმოკლე მძევლობას.

შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ორმხრივი სროლის შედეგად დაღუპული შეიარაღებული პირები ჩანან. კადრებში ასახულია ასევე ის შეიარაღება, რომლითაც მოკლულები საქართველოს ტერიტორიაზე მოძრაობდნენ.

საქართველო-რუსეთის დაღესტნის მონაკვეთთან განვითარებულ მოვლენებს გუშინ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც გამოეხმაურა.

"საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის სადამკვირვებლო მისიას აცნობა სპეცოპერაციის შესახებ. ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან ერთად, სადამკვირვებლო მისია თვალყურს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს. მწუხარებას გამოთქვამთ ოპერაციაში ჩართული ქართველი სამართალდამცავების გარდაცვალების გამო. გამოვთქვამ გულწრფელ მწუხარებას გარდაცვლილთა ოჯახების მიმართ,"- აცხადებს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ანჟეი ტიშკევიჩი.

საქართველო-რუსეთის საზღვართან განვითარებული მოვლენებზე მსჯელობა იყო ნატო-ს შტაბ-ბინაში, სადაც ნატო-საქართველოს კომისიის ორმხრივი შეხვედრა გაიმართა.

ნატო-ს წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოთქვეს და განაცხადეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძაბულობის საქართველოში გადმოტანა დაუშვებელია.

თელავში "ქართული ოცნების" აქცია გადაიდო

მაგდა ლეკიაშვილი

ლაფანყურში განვითარებული მოვლენების შემდეგ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა მიიღო გადაწყვეტილება, 2 სექტემბერს თელავში დაგეგმილი აქცია გადადოს. აქცია თელავში აუცილებლად გაიმართება, თუმცა, ჯერჯერობით, აქციის თარიღი დადგენილი არ არის. ბიძინა ივანიშვილმა გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი სპეცრაზმელების ოჯახებს მიუსამძიმრა. ივანიშვილის თქმით, დაღუპული სპეცრაზმელებიდან ორი: წიკლაური და ჩოხელი მისი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები იყვნენ. კერძოდ, მეგობრობდნენ ივანიშვილის დაცვის წევრებთან. "ქართული ოცნების" ლიდერი ამბობს, რომ ხელისუფლების მიერ ლაფანყურში მიმდინარე ოპერაცია ეჭვს აჩენს. მისი თქმით, არის ინფორმაციის ნაკლებობა, ამიტომ დაზუსტებით არაფრის თქმა არ შეიძლება.

"ხელისუფლება არ იმსახურებს ნდობას, პირადად ჩემსას და მოსახლეობის უმეტესობისას. ამიტომ მეც და მოსახლეობის უმეტესობასაც ეჭვი აქვს, რომ რაღაც ხდება ისეთი, რაც შეიძლება იყოს ხელისუფლების ავანტიურა, - განაცხადა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ეჭვის საფუძველს იძლევა ის გარემოებაც, რომ რეალურად ამ პირებთან მოლაპარაკება შესაძლებელი იყო, რასაც ადასტურებს ფაქტი, რომ ტყვეების გაცვლა ქართულმა მხარემ ორჯერ მოახერხა. კოალიციის ლიდერისვე განცხადებით, თუნდაც ის, რომ შეიარაღებულ დაჯგუფებას ტყვეების სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია, უკვე მნიშვნელოვანი კომპრომატია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. თუმცა, ამის შემდეგ ივანიშვილს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დაღესტნიდან გადმოსული შეიარაღებული დაჯგუფება საქართველოს საზღვრის გახსნას და მშვიდობიანად გასვლას მოითხოვდა. ამაზე კი ივანიშვილმა უპასუხა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რათა არ დაეშვა ხალხის დახოცვა.

"თუ საზღვრის გახსნას ითხოვენ, წავიდნენ. რა საჭირო იყო ამხელა მსხვერპლი. მე ყველაფერს გავაკეთებდი და მსხვერპლს არ დავუშვებდი," - აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოთავაზებასაც გამოეხმაურა. პირველი არხი წინასაარჩევნო დებატებისთვის საკუთარ ეთერს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პრემიერობის კანდიდატებსა და სიის პირველ ნომრებს უთმობს. ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შემოთავაზებული დებატების ფორმატში მონაწილეობას არ მიიღებს. მისი თქმით, დებატების ფორმატში მონაწილეობას იღებს ფსევდოოპოზიცია, რაც მისთვის მიუღებელია.

"ეს ვერ გამოდგება დებატების ფორმად. ეს არის თვალთმაქცობა, რომ არ შედგეს დებატები. მათ უნდათ, რომ ფსევდოოპოზიციონერები ოპოზიციონერებად გააფორმონ დებატების დროს, თუმცა ეს არ მოხდება. თუკი ისინი აღიარებენ, რომ ერთი გუნდია, ამ შემთხვევაში შედგება დებატები. გააკეთოს პირველმა არხმა ნორმალური დებატები, თუ შესწევს ძალა. თავი დაანებონ მამაძაღლობას. მამაძაღლობა ძალიან საწყენია? წამომცდა, უკან წავიღოთ? კი ბატონო, თავი დაანებონ თვალთმაქცობას და შემოიტანონ დებატები ნორმალური ფორმით," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე თქმით, პოლიტიკაში იმიტომ მოვიდა, რომ იბრძვის სიცრუის წინააღმდეგ და ამ დებატებში მონაწილეობით ის სიცრუის გამყარებას ხელს ვერ შეუწყობს. ივანიშვილის განცხადებით, ის მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ ვანო მერაბიშვილთან და მთავრობის შემადგენლობასთან ერთად.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი გუშინ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დებატებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს: "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", "ქართულ ოცნებას", "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა" და "ლეიბორისტულ პარტიას" აქვთ. საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიძინა ივანიშვილისგან დებატებში მონაწილეობაზე წერილობით პასუხს 4 სექტემბრამდე ელოდება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ზღვარს მიღმა

პირველი გვერდიდან

დანამდვილებით საიდან მოვიდნენ ამ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები, როდის და როგორ გადმოლახეს საზღვარი, რამდენ ხანს იყვნენ ხეობაში, რა მიზნით აიყვანეს მძევლები, რას ითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებიდან?

არის კითხვების მეორე ნაწილი: - **თუ შეირაღებული ხალხი საზღვარზე ასე თავისუფლად გადმოდის, ეს ნიშნავს -ხელისუფლება გვატყუებს, როცა ამბობს, რომ სახელმწიფო შედგა. ამის შემდეგ უნდა გვეშინოდეს თუ არა, რომ დაუცველები ვართ. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ ასეთი რამ კიდევ განმეორდეს**.

კითხვების ნაწილი სავსებით ლოგიკურია. რა თქმა უნდა, ყველას გვაინტერესებს უმცირესი დეტალებიც კი, რომელიც ამ საქმეს უკავშირდება. თუმცა დაჟინებული მოთხოვნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამაზე დღესვე გასცენ ამომწურავი და შეუმცდარი პასუხები - გაუგებარია. ასეთ კითხვებზე კომპეტენტური პასუხების გაცემას გამოძიების დასრულება სჭირდება. მანამდე ამის გაკეთებას აუცილებლად მოყვებოდა სამართლიანი შენიშვნები ხელისუფლების არაპროფესიონალიზმზე.

რაც შეეხება ისეთ კითხვებს, რომელიც შეიარაღებული დაჯგუფების საქართველოში გადმოსვლის საკითხს "შემდგარი თუ არ შემდგარი" სახელმწიფოს კონტექსტში განიხილავს - ესეც საკმაოდ უცნაურია, რადგან ერთ სუპერ-შემდგარ სახელმწიფოში 11 სექტემბერი მოხდა, მეორეში კი შეურაცხადმა ტერორისტმა 70-მდე ახალგაზრდა ჩაცხრილა.

გუშინვე დიდი აჟიოტაჟი მოყვა მედიაში დაღესტნის ვილიატის(მუსლიმური დაჯგუფება, რომელიც რამდენიმე წელია კავკასიაში ჯიხადს ახორციელებს.) ხელმღვანელების წერილის გამოჩენას, სადაც ისინი წერენ, რომ მათი ინფორმაციით მათი ძმები მოჯახედები საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ ოპერაციას არ გეგმავდნენ. მოჯახედებს ტყვედ არავინ აუყვანიათ და ეს ტყუილი და ცილისწამებაა საქართველოს მხრიდან - **"ამგვარი მოქმედებებით კიდევ ერთ მტერს გაიჩენთ, რომელიც შურს სასტიკად იძიებს"**

ამ წერილის შემდეგ სოცილური მედიის სივრცეს ახალი განწყობები მოედო - "ხელისუფლებამ უკვე მოჯახედები გადაგვკიდა". ამ ადამიანების ლოგიკას რომ გავყვეთ -მართალია, თუ სამართლდამცავები შეიარაღებულ პირებს საზღვარზე გაუშვებდნენ, ამით რუსეთს მიზეზი ექნებოდა, რომ საქართველო ტერორისტების მფარველობაში დაედანაშაულებინა. ეს კი მშვენიერი, ზედგამოჭრილი საბაბი გახდებოდა მისთვის, რათა სიტუაციის პროვოცირება მოეხდინა.მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მაინც ისე უნდა მოქცეულიყო, რომ არც მოჯახედები გადაეკიდებინა და არც რუსეთისთვის მიეცა საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციის წამოწყების შესაძლებლობა. ანუ რა არის ეს, თუ არა ჭრელი პეპელას ამბავი.

"დაღესტნელი რადიკალები ჯერჯერობით საქართველოსთან არ ომობენ, მაგარამ ისინი ომობენ რუსეთთან. საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა კი ისეთი მყიფეა, რომ მისი დარღვევა ნებისმიერ პროვოკაციას შეუძლია. სწორედ ამიტომ არ შეეძლო მიხეილ სააკაშვილს ასე უბრალოდ შეეეშვა ეს შეიარაღებული დაჯგუფება რუსეთის ტერიტორიაზე, რითიც მოსკოვს მისცემდა შანსს, ტერორიზმის მხარდაჭერაში დაედანაშაულებინა. ასეთი ბრალდებები შევარდნაძის დროს საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ საკაშვილი, ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს," - წერს რუსული ინტერნეტგამოცემა slon.ru.

ასე რომ, საკითხი საკმაოდ მარტივი გასაგებია იმათთვის, ვისაც ამის სურვილი აქვს - დაღესტანში დაწყებულმა არეულობამ მოჯახედების შეიარაღებული დაჯგუფება აიძულა, თავშესაფარი საქართველოს ტერიტორიაზე ეძებნა(რაც, სასაზღვრო ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე, რთული არ აღმოჩნდა) და აქ მანამდე დარჩენილიყო, სანამ დაღესტანში სიტუაცია არ ჩაწყარდებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამ დაჯგუფების წევრებმა ადგილობრივები მძევლებად აიყვანეს, სიტუაცია ძალიან გართულდა. საქართველოს ხელისუფლება, მათ თუნდაც მძვლების უვნებლად განთავისუფლების შემთხვევაში, საზღვრის გადაკვეთის საშუალებას ვერ მისცემდა.

მაგრამ, მიუხედავად სიტუაციის სიცხადისა, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილისთვის არაფერს შეუშლია ხელი, რომ კონსპირაციის თეორიებით გაებრუებიათ საზოგადოება. მთავარი ვერსია ის იყო, რომ ხელისუფლებამ ეს სპექტაკლი თავად დადგა - ეს გამიზნული პროვოკაცია იყო სააკაშვილის მხრიდან, ამით არჩევნების თემის გადაფარვა უნდათ და ა.შ. ასეთი განცხადებების მოსმენის შემდეგ მართლა ჩნდება კითხვა, სად გადის წესიერების და საღი აზროვნების მინიმალური ზღვარი და რატომ რჩებიან ასე ხშირად ამ ზღვარს მიღმა ქართული პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მოთამაშეები და "გენიოსები", ისეთი როგორიც რობერტ სტურუაა, რომელმაც მაშინვე სამოქალაქო ომის გაღვივებაში დაადანაშაულა ხელისუფლება ასეთი სიტყვებით - "ჩათვალეთ, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში სააკაშვილმა მარიამობას დაიწყო. აი, ნამდვილი ქართველი მორწმუნე "ვაჟკაცი". ახლა ივანიშვილს პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებს და სამშობლოდან გააძევებს. მერე ყველაზე აქტიურ ოპოზიციონერებს დაიჭერს, აწამებს, გააქრობს, ისედაც უკვე გაყალბებულ არჩევნებს უფრო გააყალბებს, დარჩება ბედკრულ საქართველოს მმართველად, ერთ-ორი უგემოვნო ქალაქით, შენობებით დაამშვენებს ჩვენ ქვეყანას და თავის რექტორ-დედიკოსთან და ბებია-ბიზნესმენთან ერთად თათქარიძეებივით რუსულ თვითმფრინავებს ჭერზე ბუზებივით დაითვლის."

ნამდვილად, წესიერების მინიმალური ზღვარი უნდა იმას, რომ პროვოკაცია, რომლის განზრახ მოწყობასაც ხელისუფლებას აბრალებ, შენს მიერ დადგმული სპექტაკლი არ გეგონოს, სადაც "მკვდარი" მსახიობები დგებიან, გრიმს იშორებენ და სახლებში მიდიან. ამ "პროვოკაციის" დროს სამი ადამიანი დაიღუპა, ორი გამორჩეული მებრძოლი და ერთი სამხედრო ექიმი.

ირაკლი ალასანია როლანდ ახალაიას დებატებში იწვევს

"ქართული ოცნების" ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ალასანია ამავე რაიონში მმართველი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატ როლანდ ახალაიას დებატებში იწვევს.

"მე ვთავაზობ ჩემს ოპონენტს, დავსხდეთ დებატებში. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ადგილობრივი ტელევიზიით იქნება თუ რომელიმე ცენტრალური არხით. მთავარია, ზუგდიდელებს გავაგებინოთ, ვის რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენი ქვეყნისთვის," - განუცხადა ალასანიამ ზუგდიდში, გამარჯვების ქუჩის მცხოვრებლებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს.

მისივე განმარტებით, "მიუხედავად ყველაფრისა", ის ოპონენტს პატივს ცემს და

ჯანსაღი კონკურენციის ტრადიციის დამკვიდრების სურვილი აქვს.

"ამიტომ ვთხოვ როლანდ ახალაიას, მიიღოს ჩემი შეთავაზება და ღირსეული წინააღმდეგობა გამიწიოს ზუგდიდის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში," - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა

ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი და ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩები ესწრებოდნენ.

საქართველოს ელჩმა ნატო-ში გეგა მგალობლიშვილმა ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ელჩებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან 20-მდე შეიარაღებული დივერსანტის შემოსვლისა და დევნის ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე საუბარი რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს შეეხო. კომისიაზე ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებაზეც შეაჩერეს ყურადღება.

ივანიშვილის პირობები არჩევნების შედეგების აღიარების სანაცვლოდ

მაგდა ლეკიაშვილი

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის დაპირებული მნიშვნელოვანი განცხადება გუშინ გაჟღერდა. წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილმა წერილობით მიმართა

დემოკრატიულ სამყაროს და საქართველოში პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე მიუთითა. ამას გარდა, კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნების შედეგების აღიარების სანაცვლოდ რამდენიმე პირობას აყენებს. ივანიშვილი მზად არის, ხელი მოაწეროს არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ არჩევნებამდე საარჩევნო გარემო პრინციპულად შეიცვლება.

ივანიშვილის მოთხოვნით, დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულება. ამას გარდა, კოალიციის ლიდერი განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია "ქართული ოცნების" შემოსავლებიდან და ხარჯებიდან უნდა ამოირიცხოს ის თანხები, რომელთა კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არ არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა;

"შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა (ამომრჩევლის 25%) მოახერხონ არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ხმის მიცემის დღის შეცვლა; უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შევიდეს კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი, კომისიამ იმუშაოს ყოველდღიურ, გამჭვირვალე რეჟიმში და, სხვა საკითხებთან ერთად, დაუყოვნებლივ განიხილოს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეების დევნის (დაპატიმრება, სამსახურიდან გათავისუფლება, შანტაჟი) დღემდე მომხდარი ყველა ფაქტი," - ამბობს ბიძინა ივანიშვილი და დასძენს, რომ მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოალიციის ლიდერი აღიარებს არჩევნების გამოცხადებულ შედეგებს.

დიპლომატებისთვის გადაცემულ წერილში ნათქვამია, რომ ქვეყნის ბედი სწორედ ოქტომბრის არჩევნებში წყდება და პოლიტიკოსის განცხადებით, დემოკრატიულ ფასეულობებზე დამყარებული ქვეყნებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორი იქნება ეს არჩევნები - ქვეყანა საბოლოოდ დაადგება დემოკრატიული განვითარების გზას თუ გაგრძელდება ბრძოლა ავტორიტარიზმსა და პოსტკომუნიზმთან.

ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტს ქვეყნის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევაში ადანაშაულებს. "ქართული ოცნების" ლიდერი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ზიანი მიაყენა ქვეყანას: გაუგონარი ძალადობა განახორციელა ბიზნესზე და თითქმის სრულიად დაიქვემდებარა იგი. ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან დემონსტრაციების დარბევა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და ადამიანების საპატიმროებში გამოკეტვა გამარტივდა. ივანიშვილი წერილში ყურადღებას მოსახლეობაზეც ამახვილებს და მიაჩნია, რომ ხალხი გაღატაკებული, დაშინებული და შეურაცხყოფილია. შეზღუდულია თავისუფალი სიტყვა, პროპაგანდის იარაღადაა ქცეული ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედია. "სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა" კი ისეთი გარემო შექმნეს, რომ ხალხს უნდობლობა გაუჩინეს პოლიტიკისა და, ზოგადად, არჩევნების მიმართ.

"ქართული ოცნების" ლიდერი ამბობს, რომ 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე მან მოახერხა დაშლილი და დასუსტებული ჯანსაღი ოპოზიციური ძალების გაერთიანება. ერთობლივი ძალის გამოჩენამ კი, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ქვეყნის პირველი პირის გეგმები "თავდაყირა" დააყენა.

"ამიტომ სააკაშვილმა ჩემი პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან სრულიად აშკარად დაიწყო, ერთი მხრივ, ჩემი, როგორც პოლიტიკური ოპონენტისა და მოქალაქის, უპრეცედენტო დევნა და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში სიძულვილისა და დაპირისპირების დამკვიდრება. მან და მისმა რეჟიმმა: პოლიტიკური განაცხადის გაკეთებიდან მე-4 დღეს ჩამომართვა მოქალაქეობა და შეეცადა პოლიტიკური პროცესიდან ჩემს განდევნას, ორი კვირის თავზე დაიწყო შეტევა ჩემს კერძო საკუთრებაზე და გაიტაცა კომერციული ბანკის საინკასაციო მანქანა, იძალადა კონსტიტუციაზე, დააპატიმრა და უმუშევრად დატოვა ჩვენი მომხრეები, სპეციალურად "ქართული ოცნების" და პირადად ჩემთვის პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის მიზნით შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი და შექმნა პოლიტიკური რეპრესიების ახალი ორგანო - პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საცხოვრებელი სახლები გაუყიდა ჩვენს შემომწირველებს, დააჯარიმა და შეურაცხმყოფელი დაკითხვები მოუწყო ასობით ჩვენს წევრსა და აქტივისტს," - ამბობს ბიძინა ივანიშვილი. მისივე თქმით, მისი პოლიტიკური გუნდის წევრებზე დაკისრებულმა ჯარიმებმა, ყადაღამ და ინკასომ პოლიტიკურ პარტიას თითქმის მოუსპო საქმიანობის გაგრძელების ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ივანიშვილი ფიქრობს, იმდენად შეფერხდა კოალიციის საარჩევნო კამპანია, რომ შეუძლებელია სამართლიან და თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი. "ქართული ოცნების" ლიდერი თვლის, რომ თუ დღეიდან არჩევნებამდე ხელისუფლების ქმედებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება, საქართველოში არ ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ბიძინა ივანიშვილი კი ქართველი ხალხის წინაშე დადებულ გამარჯვების პირობას ვერ შეასრულებს.

"24 საათი" სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძეს ესაუბრა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიერ წამოყენებულ პირობებს ეხმიანება. კაციტაძეს არარეალურად მიაჩნია არჩევნების თარიღის შეცვლა, თუმცა "უაღრესად საშურ საქმეს" უწოდებს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობას. კაციტაძის თქმით, ორშაბათი რომ არის პირველი ოქტომბერი ეს თავიდანვე იცოდა სააკაშვილმა. ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრმა, როდესაც გამოსცა ნორმატიული აქტი და ემიგრანტებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საკუთარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა მოსთხოვა, იცოდა, რომ ამ ტიპის დოკუმენტს ყველა ქვეყანაში არ გასცემენ. სწორედ ამიტომ, კაციტაძე ამბობს, რომ კოალიციას ამ საკითხზე თავის დროზე უნდა ეფიქრა.

"მგონია, რომ ივანიშვილის პირობები პირობისთვის არის წაყენებული და არა იმისთვის, რომ შესრულდეს. ცხადია, თუ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი არ დგას საკონსულო აღრიცხვაზე, მას არ ექნება საშუალება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში," - ამბობს მამუკა კაციტაძე.

კაციტაძე უწყებათაშორისი კომისიის მიმართ ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნასაც აფასებს. მისი თქმით, უწყებათაშორისი კომისია სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისიაა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც "რვიანის ფორმატში" ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებასთან ერთად ამ კომისიის შექმნაზე მსჯელობდნენ, ყველა, მათ შორის კოალიციაში შემავალი სუბიექტები, დათანხმდნენ კომისიის იმ ფორმით შექმნაზე, როგორიც ის დღეს არის.

პოლიტიკოსის განცხადებით, დღეს ლაპარაკი იმაზე, რომ უწყებათაშორის კომისიაში ჩასვა "ქართული ოცნების" წარმომადგენელი ნიშნავს იმას, რომ "ქართული ოცნება" მთავრობაში შეიყვანო.

"უფრო მეტიც, ირაკლი ალასანია ორჯერ პირისპირ შეხვდა გიგა ბოკერიას, უწყებათაშორისო კომისიის იმ ფორმით შესაქმნელად, რა ფორმითაც ის დღეს ფუნქციონირებს. კოალიცია "ქართული ოცნების" წევრები უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ. პირადად მე ორჯერ ვარ ნამყოფი გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც კოალიციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

შეგახსენებთ, რომ კაციტაძის "ახალი მემარჯვენეები" თავის დროზე "რვიანში" შედიოდა. "ქრისტიანდემოკრატებთან" ერთად, კაციტაძემ ხელი მოაწერა ხელისუფლებასთან საარჩევნო ცვლილებების განხორციელებას. სწორედ ეს ცვლილებები ითვალისწინებდა უწყებათაშორისი კომისიის შექმნას.

ავღანელმა სამხედრომ ნატო-ს სამი ჭარისკაცი მოკლა

ავღანეთის მოქალაქემ, რომელსაც ადგილობრივი არმიის ფორმა ეცვა, ნატო-ს სამი სამხედრო მოკლა. კოალიციის წარმომადგენლის განცხადებით, ინციდენტი ავღანეთის სამხრეთ ნაწილში, პროვინცია ურუზგანში მოხდა. დაღუპულები ავსტრალიელები არიან. ამერიკული კონტინგენტის წარმომადგენლის თქმით, თავდამსხმელი ავღანეთის უსაფრთხოების ძალებში მსახურობდა.

როგორც ცნობილია, ნატო ამ დროისათვის ადგილობრივი სამხედროებისა და პოლიციის წვრთნას განაგრძობს. ამასთან, "თალიბანი" აქტიურად ცდილობს ავღანეთის უსაფრთხოების ძალებში მომხრეების გადაბირებას. "თალიბანის" წარმომადგენლის თქმით, მსგავსი თავდასხმები ნატო-ს წინააღმდეგ ბრძოლის მათი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მხოლოდ ამ წელს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების ხელიდან ნატო-ს 45 სამხედროა დაღუპული. მოკლულთა დიდი ნაწილი ამერიკულ ჯარში მსახურობდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ავსტრალიამ გუშინ კიდევ ორი სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, ოღონდ ისინი ვერტმფრენის კატასტროფას შეეწირნენ გილმენდის პროვინციაში. ავსტრალიის პრემიერმა ჯულია გილარდმა სასწრაფოდ შეწყვიტა თავისი ვიზიტი კუკის კუნძულებზე, სადაც წყნარი ოკეანის კუნძულების ფორუმი მიმდინარეობს, და სამშობლოში დაბრუნდა. მისი სიტყვებით, ეს ყველაზე საშინელი დღეა ავსტრალიის კონტინგენტისთვის ავღანეთში.

ირანი "მიუმხრობელთა მოძრაობის" სამიტს მასპინძლობს

ირანი "მიუმხრობელთა მოძრაობის" ორდღიან სამიტს მასპინძლობს, სადაც საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოზიციების გამყარებას იმედოვნებს. სამიტს გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნიც ესწრება. როგორც ცნობილია, ამერიკასა და ევროკავშირს ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები აქვთ დაკისრებული.

სამიტის დღის წესრიგში სირიის კრიზისი, ადამიანის უფლებები და ბირთვული განიარაღება შედის. ორდღიან სამიტში 50 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს. სამიტის ესწრებიან ეგვიპტის პრეზიდენტი მოჰამედ მურსი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი მანმოჰან სინგჰი, ყატარის ემირი შეიხი ჰამად ბინ ხალიფა.

მურსის ვიზიტმა ირანში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, იქიდან გამომდინარე, რომ 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ იგი პირველი ეგვიპტელი პრეზიდენტია, რომელიც ირანს ეწვია. ირანმა ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან მჭიდრო ურთიერთობა ეგვიპტის მიერ ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების გამო გაწყვიტა.

ბან კი მუნი ირანში გუშინ ჩავიდა, სადაც ქვეყნის სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეისა და პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადს შეხვდა. გენერალური მდივნის წარმომადგენლის თქმით, ბან კი მუნმა ქვეყნის ლიდერებს მოუწოდა, ზეწოლა მოახდინონ სირიის ლიდერებზე, რათა ქვეყანაში ძალადობა შეწყდეს. აიათოლა ალი ჰამენეის ვებ-გვერდის მიხედვით, ირანის სულიერმა ლიდერმა აღნიშნულზე უპასუხა, რომ ამ კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა მეამბოხეებისათვის იარაღის უკანონოდ მიწოდების აღკვეთაა.

მურსიმ სირიის ხელისუფლება დაგმო

ირანში მიუმხრობელთა სამიტზე გამოსვლისას ეგვიპტის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ სირიის ხელისუფლების ქმედება დაგმო და ოპოზიციას ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მურსიმ ასადის რეჟიმს "დესპოტური რეჟიმი" უწოდა. ეგვიპტის პრეზიდენტის გამოსვლის დროს დარბაზი სირიის დელეგაციამ დატოვა.

რუსეთის ოპოზიცია "მილიონების მარშის" განაცხადს ხვალ შეიტანს

მოძრაობა "სოლიდარობის" წევრის სერგეი დავიდისის განცხადებით, რუსეთის ოპოზიცია ხვალ შეიტანს მერიაში განაცხადს 15 სექტემბერს მორიგი "მილიონების მარშის" გამართვის შესახებ. განაცხადები ქუჩის აქციებზე რუსეთში მიიღება მხოლოდ აქციის თარიღამდე ორი კვირის განმავლობაში. მისი თქმით, აქტივისტები უკვე შეთანხმდნენ მარშრუტთან დაკავშირებით. "ეს მოსკოვის ცენტრია," - განუცხადა დავიდისმა "ინტერფაქსს".

"მილიონთა მარში", რომელიც რუსეთს ახლად არჩეული პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე გაიმართა, ომონისა და აქციის მონაწილეების შეტაკებით დასრულდა, რის შედეგადაც 400-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს.

ლონდონის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტები ვეღარ ისწავლიან

ლონდონის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტს ჩამოერთვა იმ უცხოელი სტუდენტების მიღების ლიზენცია, რომლებიც ევროკავშირის სახელმწიფოების მოქალაქეები არ არიან. ეს ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთიდან შესაძლოა, 2000-ზე მეტი სტუდენტის დეპორტაცია მოხდეს. ბრიტანეთის უნივერსიტეტებს ადრეც დააკისრეს სანქციები იმის გამო, რომ მათ უცხოელ სტუდენტთა რეგისტრაციის წესები დაარღვიეს, თუმცა ბრიტანეთის ხელისუფლებას უცხოელი სტუდენტების მიღების უფლება აქამდე არც ერთი უნივერსიტეტისათვის არ ჩამოურთმევია.

შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია, დაეხმაროს უცხოელ სტუდენტებს, მოიძიონ ადგილები სხვა უნივერსიტეტებში. მთლიანად მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში 30 000 სტუდენტი სწავლობს.

მოამზადა თამთა კახაძემ

"თავდაცვის რაზმები" შეიარაღებული იატაკქვეშეთის წინააღმდეგ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მუსულმანი სასულიერო პირის მკვლელობა რუსეთში არცთუ ისე იშვიათია. მაგრამ ამ სიტუაციაში დეტალები გვაფიქრებინებს, რომ საქმე ეხება არა პოლიტიკურ, არამედ ადამიანის უცნაურ ბუნებას. მკვლელობის მეორე დღეს თვითმკვლელის ვინაობა ნეშტის ნარჩენებით ამოიცნეს. ის აღმოჩნდა 30 წლის რუსი ანინატ ყურბანოვა (საპრიკინა), რომელიც რამდენიმე თვის წინ სპეცოპერაციაში დაღუპული მებრძოლის ქვრივია. ის საკუთარ სახლში, მახაჭყალში 25 მარტის შემდეგ არ გამოჩენილა. 8 მაისის შემდეგ მასზე ძებნა იყო გამოცხადებული.

რუსეთის სამედიცინო ფსიქოთერაპიის და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი ბორის ეგოროვი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა თვითმკვლელი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო აფეთქების მომენტში. თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ ნარკოტიკები და ალკოჰოლი მხოლოდ შინაგან დაძაბულობას ხსნის, მაგრამ ვერ აიძულებს ადამიანს, ჩაიდინოს დანაშაული, რომლისკენაც ის თავიდანვე არ იყო მიდრეკილი.

ფსიქოანალიზის ევროპული სკოლის წევრ-კორესპონდენტ მიხაელ სტრახოვს საკუთარი "რომანტიკული" ვერსია აქვს. ის ვერაფერს შეუძლებელს ვერ ხედავს იმაში, რომ ქალს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მეუღლე-მებრძოლი და თავადაც გაიზიარა მეუღლის პოლიტიკური და რელიგიური იდეები. "ფანატიკურ რწმენასა და ვნებიან სიყვარულს შორის არც ისე ცოტაა საერთო. შეყვარებული ადამიანი რაღაც გაგებით ყოველთვის შეშლილია. შეყვარებულს თავისი რჩეულის ყველაფერი უყვარს," - აცხადებს ექსპერტი.

ბოლო წლების ტრაგიკული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ქალი-კამიკაძეები ყველაზე ხშირად ე.წ. "შავი ქვრივები" არიან. სპეცსამსახურების პროფესიონალები ამბობენ, რომ ქმარი-მებრძოლის ნათესავები და ახლობლები ხშირად ასეთ ქალებს ფსიქოლოგიურად არწმუნებენ, რომ მათ მხოლოდ შურისძიებაზე უნდა იფიქრონ, რის გამოც მკაცრად ზღუდავენ მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან. ქალებს უნერგავენ შიშს, რომ მათ ოჯახი უარყოფს, ან დასჯიან.

ამასთან ერთად, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ყველაზე არ მოქმედებს და ის განსაკუთრებულ ხასიათს მოითხოვს. ასეთი ზემოქმედების ქვეშ კაცებიც ხვდებიან, მაგრამ უფრო ხშირად - ქალები.

რა თქმა უნდა, არის განსხვავება - "შავი ქვრივები" რომანტიკული შურისმაძიებლები არიან თუ სუსტი ზომბები. ადამიანები მათ მოტივებს სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ, მით უმეტეს, რომ მკვდარს ვერაფერს ჰკითხავ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს, მაგრამ ყველაფერი მაინც კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული.

ექსპერტები უარყოფენ მედიაში პოპულარულ ვერსიას ჰიპნოზის შესახებ. "ჰიპნოზი, როგორც ადამიანზე ზემოქმედების საშუალება, არ შეიძლება სერიოზულად განვიხილოთ," - აცხადებს პაველ კაჩალოვი.

"ფსიქოთერაპიით ძალიან დიდი ხანია დაკავებული ვარ, მაგრამ მსგავსი არასდროს არაფერი მინახავს. თუ არ არის შინაგანი მზადყოფნა, არავითარი ზემოქმედება არ იმუშავებს," - განაცხადა ბორის ეგოროვმა.

საიდ აფანდის მკვლელობა ბევრი მისი მიმდევრისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მიუხედავად ოფიციალური განცხადებისა იმის შესახებ, რომ აფანდი სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა, ბევრს მაინც არ სჯეროდა ამ ინფორმაციის სისწორის და სჯეროდათ, რომ იგი არ მომკვდარა და შესაძლოა, სპეცსამსახურები მას მალავდნენ.

იგი სამართლიანად ითვლებოდა ძლიერ ფიგურად რესპუბლიკაში, ამასთან, არ ერეოდა პოლიტიკაში. რელიგიური საქმიანობა, რომელსაც საიდ აფანდი ახორციელებდა, ლეგალურად აერთიანებდა 100 ათას ადამიანს.

მკვლელობა მოხდა დაახლოებით 16:30 სათზე, უკვე 18:30 საათზე კი მის დასაფლავებაზე იმდენი ხალხი ჩავიდა, რომ უშიშროების სამსახურებმა დერეფნების დაყენება დაიწყეს, რათა ხალხის უსაფრთხოება და სამძიმარზე მომლოცველების შესვლა უზრუნველეყოთ. სახლთან, სადაც მკვლელობა მოხდა და სადაც გარდაცვლილის ცხედარი ესვენა, პოლიცია და მოხალისეები არავის არ უშვებდნენ და ყველას სასაფლაოს მიმართულებით აგზავნიდნენ.

დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაგომედსალამ მაგომედოვმა, რომელიც ასევე მივიდა შეიხის დაკრძალვაზე, ხალხს პოლიციის დახმარებისკენ მოუწოდა, რომ დანაშაულის გახსნა რაც შეიძლება მალე მომხდარიყო. ამას გარდა, მან წამოაყენა ყველა სოფელში და დასხლებულ პუნქტში თავდაცვითი რაზმების შექმნის იდეა, რომლებიც პოლიციას წესრიგის დამყარებაში დაეხმარებიან.

დაღესტნიდან საკმაოდ შორს, ბარნაულში ასობით ადამიანი მივიდა ხუთშაბათს, რათა გამომშვიდობებოდა 5 პოლიციელს, რომელიც დაღესტანში თავისი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა.

სამშაბათს ადგილობრივმა სამხედრომ ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა ციმბირიდან მივლინებით ჩასულ ელიტურ სპეცრაზმელებს დაღესტნის სოფელ დერბენტში, რის შედეგადაც დაიღუპა შვიდი ადამიანი, ათზე მეტი კი დაიჭრა. ხუთი დაღუპული სწორედ ბარნაულიდან იყო (ამის შესახებაც გუშინ წერდა "24 საათი").

დაღუპულთა ცხედრები ხუთშაბათს ალტაის ტერიტორიაზე გადაასვენეს. ისინი სამშობლოში იმავე დღესვე დაკრძალეს. როგორც გუბერნატორმა განაცხადა, იმედოვნებს, რომ დამნაშავეებს მალე გამოავლენენ. ჯერ სამართალდამცავები დარწმუნებულები არ არიან, რომ სპეცრაზმელებზე თავდასხმა არალეგალური შეიარაღებული მებრძოლების დავალებით მოხდა. შეიძლება, საქმე აქვთ პირად ანგარიშსწორებასთან. თუმცა ის, რომ თავდამსხმელი რამზან ალიევი ვაჰაბიტი იყო და მისი თავდასხმა ფაქტობრივად დაემთხვა ტრადიციული ისლამის მიმდევარი სასულიერო ლიდერის მკვლელობას (რომელსაც ისევ ვაჰაბიტებს აბრალებენ), გარკვეული ეჭვის საფუძველს აჩენს.

ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია არც ერთ მომხდარ დანაშაულზე არ ვრცელდება.

ასადი: "სირიაში უკეთესი მდგომარეობაა"

თამთა კახაძე

სირიაში არსებული ძალადობის მიუხედავად, რომელსაც ამ დროისათვის ათობით ათასი ადამიანი ემსხვერპლა, ქვეყნის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი აცხადებს, რომ მის ქვეყანაში "უკეთესი მდგომარეობაა."

"სამხედროები საკუთარ მოვალეობას ასრულებენ. სამხედრო ძალები, პოლიცია და უსაფრთხოების ძალები დაკისრებულ ფუნქციას ყველა მიმართულებით გმირულად ასრულებენ," - აღნიშნა ასადმა სამთავრობო ტელეარხთან ინტერვიუში.

ასადი განუწყვეტლივ იმეორებს, რომ სამთავრობო ძალები ტერორისტების წინააღმდეგ იბრძვიან. მისი თქმით, ქვეყნის ბედი მისი მოქალაქეების ხელშია. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ის დამასკოში საკუთარ რეზიდენციაში რჩება.

"ეს შეუპოვრობის ბრძოლაა. თუმცა, ჩვენ გადავლახავთ ამ ყველაფერს და ჩანს, რომ ჩვენ წინ მივდივართ. რეალურად სიტუაცია უკეთესია," - აცხადებს ასადი. მისი სიტყვებით, არმიას სჭირდება დრო, რომ ყველაფერი წარმატებით დაამთავროს. მთავრობიდან ამბოხებულების მხარეზე გადასულ "დეზერტირებზე" კი მან თქვა, რომ ამით სირიის მთავრობის და მთელი ერის "თვითგანწმენდა" მოხდა.

ოპოზიციის აქტივისტების ცნობით კი, მხოლოდ გუშინ ქვეყანაში 89 ადამიანი დაიღუპა. 45 - დამასკოსა და მის შემოგარენში მოკლეს, 16 ადამიანი დაიღუპა იდლიბის პროვინციაში. ოპოზიციის მტკიცებით, სამთავრობო ძალები იერიშებს განაგრძობენ, მათ შორის, იერიში მიიტანეს დამასკოს გარეუბანში მდებარე დიდ მეჩეთზეც.

სირიის ტელევიზიები კი გადმოსცემენ, რომ სამხედროებმა "ტერორისტული შეიარაღებული ჯგუფების" წარმომადგენლები მოკლეს, რომლებმაც იერიში იდლიბის პროვინციაში მდებარე აეროპორტზე მიიტანეს.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფაისალ მიქდადმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეჟიმი მოქალაქეების წინააღმდეგ მძიმე შეიარაღებას იყენებს.

ძალადობის ამსახველი ცენტრის ცნობით, მხოლოდ აგვისტოში დამასკოსა და მის გარეუბნებში 1640 ადამიანია მოკლული, დაახლოებით 740 კი - ალეპოში.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მკაცრად აფრთხილებს საკუთარ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ სირიაში გამგზავრებისაგან და სირიაში მყოფ ამერიკელებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ სამშობლოში.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი გაეროს სირიაში ბუფერული ზონის შექმნის წინადადებით მიმართავს, რითიც ლტოლვილების დახმარება მოხდება. აღნიშნულ შეთავაზებას აჰმეთ დავითოღლუ დღეს ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე წარადგენს, სადაც სირიის შესახებ იმსჯელებენ. ამ ბუფერული ზონების შექმნას თავის ინტერვიუში არარეალურს უწოდებს ბაშარ ალ-ასადი.

გუშინ "სირიის თავისუფალმა არმიამ" გამოაცხადა, რომ ქვეყნის ჩრდილოეთში, ქალაქ იდლიბთან ახლოს, მათ სამთავრობო არმიის საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. პანარაბულმა ტელეარხმა "ალ არაბიამ" აჩვენა ვიდეოკადრები, რომელზეც ჩანს, რომ თვითმფრინავი მკვეთრად ეშვება ვერტიკალურად და მიწას ეჯახება. პილოტი კატაპულტირებას ასწრებს და პარაშუტით ეშვება. ეს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მესამე შემთხვევაა. აქამდე ამბოხებულებმა ერთი თვითმფრინავი და ერთი ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ამას გარდა, ამბოხებულები აცხადებენ, რომ აეროდრომზე თავდასხმისას ტაფტანაზში ხუთი საბრძოლო ვერტმფრენი გაანადგურეს. ხელისუფლება აეროდრომზე თავდასხმას ადასტურებს, მაგრამ საბრძოლო ტექნიკის განადგურებას უარყოფს. მათი სიტყვებით, ინციდენტისას მხოლოდ ორი სამხედრო დაიჭრა. "სირიის თავისუფალი არმია" იმასაც აცხადებს, რომ ხუთშაბათს დილით იდლიბთან ახლოს მათ მძიმე იარაღით (ალბათ, ძირითადად, ნაღმსატყორცნები იგულისხმება) დაბომბეს აეროდრომი, სადაც გაანადგურეს ათი "მიგ"-ი და რამდენიმე ჯავშანმანქანა. ამის შესახებ ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

ფიროსმანის ფენომენის ძიებაში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ასეთივეა მის შესახებ ის მონოგრაფიები თუ მხატვრული ლიტერატურაც - კონკრეტული ავტორის მგრძნობელობაზე აგებული, ფიროსმანის ლანდით შთაგონებული. სიტყვა "ლანდი" ემოციის გამო არ მიხსენებია - ეს ეპითეტი ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს ამ მხატვრის პიროვნებას: მის შესახებ დღემდე ზუსტად არავინ არაფერი იცის, არც დაბადების ზუსტი თარიღი, არც გარდაცვალების ადგილი და საფლავი, არსებობს უამრავი სხვადასხვა ვერსია მისი ბიოგრაფიის, სიყვარულის, შემოქმედების შესახებ, რომელთაგან რას მივიჩნევთ სიმართლედ და ჭეშმარიტებად, ჩვენი ასარჩევია.

შორენა ლებანიძეც თავის ვერსიას გვთავაზობს მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში "ეს მე ვარ - ფიროსმანი", რომელიც სულ ახალახან გამოსცა გამომცემლობა "არტანუჯმა" და შეიძლება ითქვას, პირველი მხატვრული ტექსტია, რომელიც ფიროსმანის ბიოგრაფიას კვალში მისდევს და მისი ფენომენის ამოცნობას ცდილობს. არც "კვალში დევნა" მიხსენებია ტყუილად, ტექსტის დოკუმენტურობას სწორედ ეს დევნა განსაზღვრავს: მწერალი ჩვენც იმ ძიების პროცესის მონაწილედ გვხდის, რომელსაც იგი აწარმოებდა ფიროსმანის ბიოგრაფიული დეტალების სადგენად. თხრობისას გარკვეული ინტერვალებით შემოდის თანამედროვეობა - როგორც ავტორის რეალობა, საიდანაც შორენა ლებანიძეს ისევ ფიროსმანის ეპოქაში გადავყავართ და ის პასაჟები, რაც ფიროსმანისდროინდელ თბილისს, მხატვრის თანამედროვეებს და მისი ცხოვრების ეპიზოდებს ეხება, ლიტერატურულ ვერსიას წარმოადგენს.

ავტორის თქმით, რომანს არა აქვს მონოგრაფიის პრეტენზია, არც ერთ წინადადებას არ აქვს მტკიცებითი ფორმა, რომ ესა თუ ის ამბავი ნამდვილად ასე იყო, ეს ვერსიები და ვარაუდებია და რაკი ტექსტის ფორმა მხატვრულია, ავტორი თავს უფლებას აძლევს, გამოიგონოს ცალკეული დიალოგები თუ პასაჟები, თუმცა კი, არც ერთი პერსონაჟი აქ გამოგონილი არ არის, ისევე როგორც ბიოგრაფიის ძირითადი დეტალები. რაც შეეხება დიალოგებს, თვით ნიკალას საუბარშიც კი ავტორი იმ ფრაზებს ეყრდნობა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, შავ არწივზე, რომელიც კურდღელს გლეჯს, თუ თეთრ ფერზე, როგორც წმინდაზე, რითაც იგი ორთაჭალის ტურფებს ხატავს და ამით მათ ცოდვებს შეუნდობს.

ავტორმა ბოლომდე დაიცვა ეპოქის ენა და პერსონაჟთა მეტყველება რეალურს მიუახლოვა, ეს როგორც ნიკალასეულ თბილისზე ითქმის, ისე თანამედროვეზე. და ეს ყველაფერი, ეპოქისა და ჟანრების ცვლილება უმტკივნეულოდ გადადის ერთმანეთში. ეს ამბავი კი იქიდან დაიწყო, რომ ტელეკომპანია "რუსთავი2"-ის დოკუმენტური ფილმების განყოფილებაში მზადდებოდა ფილმი ნიკო ფიროსმანზე, სადაც მთავარი ამბავი ახლადაღმოჩენილი ნამუშევარი "კრუხი და წიწილები" იყო, პარალელურად კი ფიროსმანის ეპოქა უნდა გაცოცხლებულიყო. იმ წლებში ფიროსმანის რამდენიმე ნამუშევარი "აღმოაჩინეს" მავანთ და მავანთ და ყველა მპოვნელს ერთი და იგივე ვერსია ჰქონდა, რომ იპოვეს წინაპრების სახლში, მირზაანსა თუ მაჩხაანში, სხვენზე, მარანში, სკივრში, კასრზე, სადღაც, ძველ ნივთებს შორის. ყველა მათგანი ეყრდნობოდა იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, რაღაც ნახატები ნიკალამ თავის დასთან, ფეფესთან დატოვა, 1937 წლის რეპრესიების დროს შეშინებულმა ფეფემ კი, ერთი ვერსიით, ისინი მეზობლებს დაურიგა. კულტურის სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფს მუდმივად მიმართავენ სხვადასხვა ადამიანები ფიროსმანის სავარაუდო ნამუშევრების დასადგენად. 2008 წელს რამდენიმე ასეთ "ფიროსმანზე" იყო საუბარი, მათ შორის, "კრუხ-წიწილაზე". შორენა ლებანიძეს, როგორც დოკუმენტური ფილემების განყოფილების სცენარისტს, ფიროსმანის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების კვლევა დაევალა.

შორენა ლებანიძე

შორენა ლებანიძე: "გავეცანი ფიროსმანის შესახებ დაწერილ ყველა მონოგრაფიას, ფიროსმანის თანამედროვეთა მოგონებებს, ვინახულე უამრავი ექსპერტი და ფიროსმანის მკვლევარი. მაშინ კულტურის სამინისტროს ექსპერტიზამ არ დაადასტურა "კრუხ-წიწილას" ორიგინალობა (ორიოდე წლის შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეცვალეს და დღეს ეს ნამუშევარი ეროვნულ გალერეაშია გამოფენილი). ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ამ ფაქტის გამო ფილმისადმი ინტერესი დაკარგა, მაგრამ მე დამრჩა მოპოვებული მასალა და დაწერილი სცენარი, რომლის თაროზე შემოდება დასანანი იყო. საჭირო იყო, მომეძებნა ფორმა მის გასაცოცხლებლად. მასალებზე მუშაობისას ჩემი ყურადღება ერთმა დეტალმა მიიქცია - განურჩევლად ყველა, იქნებოდა ეს ფიროსმანის თანამედროვე თუ მისი შემდგომი, ეძებს მის კვალს. ყველგან მხვდებოდა სიტყვა "ვეძებთ". ეძებენ პირადად მას, მის ნახატებს, დუქნებს, საავადმყოფოებს, ეძებენ მხატვრები - რომ გადასცენ შეგროვილი ფული, ეძებს მისი დიასახლისი, რომ გაუბრაზდა და სახლში არ შეუშვა, ეძებენ მიკიტნები, რომლებსაც ნახატებს შეჰპირდა და აღარ დაუხატა; ზდანევიჩები ეძებენ მის ნახატებს, ქართველ მწერალთა ახალი თაობა ეძებს მის ბიოგრაფიულ დეტალებს, მათ შორის - ლაზარეთს, სადაც ავადმყოფი მხატვარი სიკვდილის წინ მიიყვანეს და ადგილს, სადაც იგი დაასაფლავეს; ეძებენ დუქნებს, სადაც კედლებზე მისი ნახატებია, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ყველაფერი ხელიდან ქრებოდა, უსხლტებოდათ. დუქნის კედლები გადათეთრებული ხვდებოდათ, ფუნუქის აბრები - დაჟანგული, გიორგი ლეონიძემ მასზე შეგროვილი ინფორმაცია დაკარგა, დაიკარგა მარგარიტაც. 1969 წელს ლუვრში ფიროსმანის გამოფენა მოეწყო. ერთი თვის მანძილზე ამ გამოფენაზე დადიოდა მოხუცი ქალი და "მარგარიტას" უცქერდა. დახურვის დღეს კი იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორს შალვა ამირანაშვილს მარგარიტა დე სევრის სახლით გაეცნო. ისიც აღნიშნა, საფრანგეთში რომ დავბრუნდი, ნიკალაზე ჩემი მოგონებები მაშინდელ პარიზულ ჟურნალში დავბეჭდეო. ფოტოგრაფმა ელენ ადანტმა ეს კადრი გადაიღო, მაგრამ დაბნეულ შალვა ამირანაშვილს არც მისი წარმომავლობა უკითხავს, არც ის ჟურნალი, სადაც მისი თბილისური მოგონებები იქნებოდა დაბეჭდილი. იყო შანსი, რაღაც ახალი გაერკვიათ ფიროსმანის ბიოგაფიიდან და ესეც დაიკარგა.

გადავწყვიტე, ჩემი რომანიც ძებნაზე ამეგო. სწორედ აქედან გამომდინარე, წიგნი დროში მოგზაურობას დაემსგავსა."

თხრობა 1956 წელს იწყება, როცა მოხუცებული ბებო შვილიშვილს თავისი სიყვარულის ისტორიას უყვება. ბებო - საბედო აღულიშვილი რეალურად არსებული პიროვნებაა, თუმცა კი, მისი თავგადასავალი ავტორისეული ინტერპრეტაციაა, რომელსაც საფუძველიც აქვს - თანამედროვეთა მოგონებებში გაიჟღერა ნიკალას რომანმა დიმიტრი აღულიშვილის ცოლთან, რომლის ოჯახშიც ნიკალა ცხოვრობდა იმ პერიოდში, როცა მათ საერთო დუქანი ჰქონდათ "იარმუკაზე". არსებობს საბედოს მოგონებები, სადაც ქალი ისეთი გზნებით საუბრობს მხატვრის გარეგნობასა და ხასიათზე, ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო გულგრილი მის მიმართ. მწერალს შემდეგ 1894 წელში გადავყავართ, როცა ფიროსმანმა თავისი პირველი დახლი დადგა ვერეს დაღმართზე, როცა იგი თბილისში დამკვიდრებას იწყებდა. რასაც მოსდევს უკვე ნიკალას მოგონებები, როგორ ჩამოვიდა 1874 წელს თბილისში პატარა ბიჭი. შემდეგ უკვე მწერალს 2008 წელში გადმოვყავართ და მასთან ერთად მივდევთ კვალში ნიკალას. მწერალი გვაჩვენებს თავის სამუშაო პროცესს იმ მიზნით, რათა ჩვენც დაგვანახოს, როგორ უახლოვდება ნიკალას ფენომენს.

"ჩემი მცდელობა იყო, შემეცნო, რაში მდგომარეობდა ამ ადამიანის არსი. მას არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი, არც სახლი გააჩნდა, უპოვარი და ღატაკი იყო, ამაზე წუწუნებდა კიდეც, მაგრამ, როცა მის ცხოვრებას ვიკვლევდი, მივხვდი, ეს იყო მისი არჩევანი, მას თვითონ უნდოდა ასე. როცა ზდანევიჩებმა აღმოაჩინეს, მისით ახალგაზრდა მხატვრები დაინტერესდნენ, დიმიტრი შევარდნაძე მუდამ ხელს უწვდიდა, მაგრამ მან არ იგუა ეს საზოგადოება. ვიღაც, უფრო ლაღი ხასიათის ადამიანი სხვანაირად ააწყობდა ურთიერთობებს. როგორც, მაგალითად, გიგო ზაზაშვილი, რომელმაც ნიკალასთან ერთად დაიწყო ეს ხელობა, სახლიც ჰქონდა, კარიც და სახელოსნოც, ხელს უწვდიდნენ და პატრონობდნენ. ნიკალას არ შეეძლო, ადამიანების კეთილგანწყობა გამოეყენებინა თუ დაეჯერებინა. საბედო აღულიშვილიც საყვედურობს მოგონებებში, ჩაკეტილი ადამიანი იყოო. შევეცადე, ჩამეხედა მის სულში და გამეგო, რატომ იყო ასეთი?"- ამბობს შორენა ლებანიძე.

მხატვრული სიტყვის არსი მარადიულ ფასეულობებთან მიახლოებაა, წიგნი "ეს მე ვარ - ფიროსმანი" ადამიანურ ღირსებებზე პასუხის გაცემის მცდელობაა, ხოლო თუ მასში იმასაც ამოიკითხავთ, თუ რატომ იყო ნიკო ფიროსმანი ისეთი, როგორიც იყო, მწერლის მისიაც შესრულებულად ჩაითვლება. ერთს კი გეტყვით, ეს არის ისტორია საბედისწერო აცდენების და დამთხვევების. ზდანევიჩებს რომ ჩამოსვლა ერთი წლით დაგვიანებოდათ, პირველი მსოფლიო ომიც დაიწყებოდა და ყველა ის დუქანი დაიკეტებოდა, საიდანაც ნიკალას ნამუშევრები სამზეოზე გამოიტანეს და ის 270 სურათი შეკრიბეს, რომელიც დღეს ეროვნულ გალერეას თუ სიღნაღსა და მირზაანს ამშვენებს.

გადის ათწლეულები და ფიროსმანის ბიოგრაფიაში სიცხადე კვლავაც არ არსებობს, მისი საფლავის აღმოსაჩენად ერთადერთხელ გაითხარა კუკიის სასაფლაო, თუმცა თანამედროვეთა მოგონენებით, იგი პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანთან უნდა დაეკრძალათ. აკა მორჩილაძე ერთგან ამბობს, ფიროსმანი უცნაური ტრაექტორიით მოძრაობდაო. ესეც მისი არჩევანი იყო - მის გზა-კვალს ვერავინ აგნებდა. თანამედროვეთა თქმით, მაშინ ჩნდებოდა, როცა თვითონ უნდოდა. ჰოდა, ჩვენც ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ - მკვლევარებს, რომლებიც ახალ სიტყვას იტყვიან და ახალ ფაქტებს, რომლებიც უცნაურად, თავისით ჩნდებიან ხოლმე.

წიგნი "ეს მე ვარ - ფიროსმანი" 18 თავისგან შედგება, რომლებიც დასრულებული, დამოუკიდებელი ამბებია და საბოლოოდ კი ერთ მთლიან ტექსტს ქმნიან.

თბილისი, ზაარბრუკენი, ნანტი

დაძმობილებული ქალაქების ფოტოგრაფებმა თბილისი გადაიღეს

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

ფოტოგრაფია ძალიან მოდური გატაცებაა, ამიტომ ქუჩაში ყოველდღიურად ვხედავთ ფოტოაპარატიან ახალგაზრდებს. ბოლო დღეების განმავლობაში კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, დაემატა რამდენიმე უცხოელიც, რადგან თბილისი მოყვარული ფოტოგრაფების უორქშოფს მასპინძლობდა. უორქშოფი უკვე დასრულდა, მისმა მონაწილეებმა კი თბილისში ნანახი, მათთვის საინტერესო და ფოტოაპარატების ციფრულ მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი კადრები შემოგვთავაზეს. პროექტში თბილისელთა გარდა ზაარბრუკენელი და ნანტელი ფოტოგრაფებიც მონაწილეობდნენ, რადგან ეს სამი ქალაქი უკვე წლებია ერთმანეთთან მეგობრობს.

პროექტის პირობების თანახმად მონაწილეები სამ ჯგუფში გადანაწილდნენ. სამივე ჯგუფს საკუთარი მენტორი ჰყავდა: ქართველებს გურამ წიბახაშვილი ხელმძღვანელობდა, ნანტელების დელეგაციას - ჟან ფელიქს ფაიოლი, ხოლო ზაარბრუკენელების მენტორი ანდრე მაილენდერი გახლდათ. ფაიოლიც და მაილენდერიც სოციალური ფოტოგრაფიის ოსტატებად მიიჩნევიან, ამ ჟანრში გურამ წიბახაშვილიც მუშაობს, ამიტომ გასაკვირი არ გახლავთ, რომ მათმა შეგირდებმა ძირითადად სწორედ ამ ხასიათის ნამუშევრები წარმოგვიდგინეს, თუმცა მანამდე თემები მაინც შეარჩიეს: «მეტამორფოზა», ფოტოგრაფული სტერეოტიპების პირისპირ» და «სოციალური დერივაციები».

შედეგი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, უფრო სწორად კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ თბილისი და, ზოგადად ჩვენი ქვეყანა, სოციალური კადრების ერთგვარი საცავია. ეს ყველაზე კარგად უცხოელი ფოტოგრაფების ნამუშევრებში ჩანს, რომლებმაც გვერდი ვერ აუარეს ჩვენთვის უკვე ჩვეულ კადრებად ქცეულ სცენებს: მათხოვარი ბავშვები, სევდიანი სახეები ფანჯრებში, მრავალსართულიანი კორპუსების სიჭრელე, ჩამონგრეული ბათქაშები, ახლისა და ძველის კონტრასტი, ეკლესიები, მრევლი სანთლების ფონზე და ასე შემდეგ. ამ თემებს დიდად ვერც ქართველი ფოტოგრაფები გაექცნენ, თუმცა მათი ხედვა უფრო სხვა შრეებში გადადის, სულ სხვა სიღრმეებს ეძებს და, ხშირ შემთხვევაში, პოულობს კიდეც.

გურამ წიბახაშვილი: «თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, რომ პროექტის თითოეული მონაწილე მაქსიმუმ ხუთ ნამუშევარს შეარჩევდა, თუმცა იმდენად დიდი მასალა დაგროვდა, რომ ფოტოების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ყველა ადამიანში ცხოვრობს ხელოვანი, უბრალოდ მისი ეს მხარე უნდა განავითარო. სწორედ ეს გახლდათ პროექტის ერთგვარი დევიზი, რაც მოყვარულ ხელოვანთა შემთხვევაში საუკეთესოდ მუშაობს. პროექტის მონაწილეებს იმ მხრივაც გაუმართლათ, რომ მათი მენტორები სოციალურ ფოტოგრაფიაში დახელოვნებული ფოტოგრაფები არიან. სწორედ ამან განაპირობა, რომ შედეგად ძალიან საინტერესო ფოტოსერიები მივიღეთ.»

თბილისის ჯგუფისა და ზოგადად პროექტის ყველაზე პატარა მონაწილე 17 წლის ირმა გაჩეჩილაძეა. ის ფოტოგრაფიით თითქმის ორი წელია დაინტერესებულია. გადაღება სამოყვარულო კამერით დაიწყო, შემდეგ «ზენიტით» მოსინჯა ძალები, ამჟამად კი გურამ წიბახაშვილის მოსწავლეა. «ჩვენი ჯგუფის თემა «მეტამორფოზა» გახლდათ, თუმცა ნელ-ნელა მაინც სუფთა სოციალური თემატიკისკენ გადავიხარეთ. ეს თემა ულევ მასალას იტევს, ფოტოგრაფისთვის ყველაფერი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს, მაგრამ მან აუცილებლად უნდა შეეძლოს დანახულის ხასიათის შეგრძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კადრი ცარიელი და უხასიათო იქნება. ყველაზე მეტად ადამიანების გადაღება მომწონს. მათი თვალების გამომეტყველება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ამ პროექტის უცხოელი მონაწილეებისთვის თბილისის ქუჩებში ნანახი აღმოჩენების ნიაღვარი იყო, ჩვენთვის კი ეს ყველაფერი უკვე გაცვეთილი თემებია. ალბათ ამიტომაც გამოვიდა მათი ნამუშევრები უფრო ზედაპირული. მათ ქალაქებში ალბათ ჩვენც ასე დაგვემართება. იმედია, ეს პროექტი მომავალში კიდევ განმეორდება და ზაარბრუკენისა და ნანტის აღბეჭდვის საშუალება მოგვეცემა», - ამბობს ირმა გაჩეჩილაძე.

პროექტი კი სავარუდოდ აუცილებლად გარძელდება, რადგან ის პირველად არ ჩატარებულა. როგორც გურამ წიბახაშვილი ამბობს, ნანტელ და ზაარბრუკენელ ფოტოგრაფებს ფოტოშთაბეჭდილებები ერთმანეთისთვის აქამდეც გაუზიარებიათ. გარდა ამისა, პროექტს წინ უსწრებდა ზაარბრუკენში ჩატარებული ახლგაზრდული შეხვედრები, რომელიც მოგვიანებით თბილისში, ზაარბრუკენსა და ნანტში ანდრე მაილენდერის ფოტოგამოფენებით გაგრძელდა.

13 უდიდესი პარაოლიმპიელი

ვასილ უდუმაშვილი

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ პარაოლიმპიური თამაშები იმართება. ახლა ლონდონში სწორედ პარაოლიმპიური თამაშები მიმდინარეობს. მისი თითოეული მონაწილე უდიდესი პატივისცემის ღირსია.

როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანი სპორტის რომელიმე სახეობაში წარმატებას აღწევს, ეს, ცხადია, განსაკუთრებული რამ არის. დღეს ამ უაღრესად პატივსაცემ ადამიანებზე ვისაუბროთ და მათ შორის 13 ლეგენდარული გამოვარჩიოთ.

13. ლი პარსონი (დიდი ბრიტანეთი)

ლის თანდაყოლილი ართროჰიპროზი აქვს. ეს დაავადება ადამიანს მოძრაობას უზღუდავს და კუნთების სისუსტეს იწვევს. პარსონი უკანასკნელი სამი პარაოლიმპიური თამაშების მონაწილეა და ყველა ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიგო. ლი პარაოლიმპიურ თამაშებში ცხენოსნობაში მონაწილეობს და სპორტის ამ სახეობაში ბადალი არ ჰყავს.

12. ნატალი დე ტოუტი (სამხრეთ აფრიკა)

სამხრეთაფრიკელ ამპუტანტ ნატალი დე ტოუტს პარაოლიმპიურ თამაშებზე ცურვის 12 დისციპლინაში აქვს მიღებული მონაწილეობა. ეს 2004 და 2008 წლების პარაოლიმპიურ თამაშებზე ხდებოდა. დე ტოუტი პირველი ამპუტანტია, რომელმაც შეძლო ოლიმპიურ თამაშებზე კვალიფიცირება. ეს იყო 2008 წელს, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე. ახლა ნატალი 28 წლისაა და ლონდონის 2012 წლის პარაოლიმპიურ თამაშებშიც იღებს მონაწილეობას.

11. ოსკარ პისტორიუსი (სამხეთ აფრიკა)

ის ალბათ ყველაზე ცნობილი პარაოლიმპიელია. ოსკარს ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და სპეციალური პროთეზების საშუალებით გადაადგილდება. პისტორიუსი მორბენალია და მუდამ ოცნებობდა ოლიმპიურ თამაშებში მონანილეობაზე. კარგა ხანს მას ამის უფლებას არ აძლევდნენ - პროთეზები უპირატესობას მისცემსო, მაგრამ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე პისტორიუსმა ლიცენზია მოიპოვა და 400-მეტრიან დისტანციაზე სირბილში ნახევარფინალში გავიდა.

ეს ყველაფერი პისტორიუსის ოლიმპიურ კარიერას ეხებოდა, ოსკარის პარაოლიმპიური კარიერა კი 2004 წელს, ათენში დაწყო. 17 წლის ოსკარმა 200 მეტრზე სირბილი მოიგო. ოთხი წლის შემდეგ პეკინში მას 100, 200 და 400-მეტრიან დისტანციებზე არ ჰყავდა ბადალი. ცხადია, მიმდინარე პარაოლიმპიურ თამაშებზე ოსკარი მხოლოდ ოქროსთვის იბრძოლებს.

10. ტანი გრეი-ტომპსონი (დიდი ბრიტანეთი)

ტანი გრეი-ტომპსონი ყველაზე ტიტულოვანი ბრიტანელი პარაოლიმპიელია. ინვალიდის სავარძლით რბოლებში მან კარიერა არც ისე დამაჯერებლად დაიწყო და 1988 წლის პარაოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. ამის შემდეგ მან ოქროების კოლექცია დააგროვა. 1992 წელს - 4, 1996 წელს - 1, 2000 წელს - 4, 2004 წელს - 2.

ამრიგად, მას სულ 11 ოქროს მედალი დაუგროვდა. ასეთ შედეგს ბევრი ვერ დაიკვეხნის.

9. ეზერ ვერგეერი (ჰოლანდია)

ქალბატონს ინვალიდის სავარძელში 2003 წლის შემდეგ არ წაუგია არც ერთი საჩოგბურთო მატჩი. 2001 წლის შემდეგ მას მხოლოდ ერთი მარცხი აქვს განცდილი. კარიერის მანძილზე 21 დიდი სლემის ტურნირი მოიგო. 1999 წლის შემდეგ ის რეიტინგში პირველი ნომერია. სამჯერ მოიგო პარაოლიმპიურ თამაშებზე ოქრო ერთეულთა თანრიგში და ორჯერ - წყვილებში.

ასე რომ, თუ 2012 წლის პარაოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთის ტურნირში ვინმეზე ფსონის დადება გსურთ, ეზერ ვერგეერი შეარჩიეთ.

8. ერინ პოპოვიჩი (აშშ)

ერინს თანდაყოლილი ახონდროლოპლაზია აქვს. ავადმყოფობა, რომელიც ხელს უშლის ადამიანის სიმაღლეში ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ პოპოვიჩი ჯუჯაა, იგი პარაოლიმპური თამაშების გიგანტად უნდა მივიჩნიოთ. 2000 წლის შემდეგ ცურვაში მას 14 ოქროს და 5 ვერცხლის მედალი აქვს მოგებული და ამაზე შეჩერებას არ აპირებს. 27 წლის ერინი ლონდონის პარაოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობს.

7. ბეატრის ჰესი (საფრანგეთი)

ფრანგ პარაოლიმპიელს საცურაო აუზში 15 ოქრო აქვს მოგებული და, პოპოვიჩისა არ იყოს, უკვე პარაოლიმპიური თამაშების ლეგენდაა. ბეატრისს ცერებრალური დამბლა აქვს. ამის მიუხედავად, უდიდეს წარმატებებს აღწევს.

6. მაიკ კენი (დიდი ბრიტანეთი)

ტანი გრეი ტომპსონთან ერთად ყველა დროის საუკეთესო ბრიტანელ პარაოლიმპიელად უნდა ჩავთვალოთ. 1976-დან 1988 წლამდე მოცურვე მაიკ კენიმ 16 პარაოლიმპიური მედალი მოიგო. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მან ცურვა მხოლოდ 1971 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ზურგის ტვინი დაიზიანა.

5. ფრანც ნეიტლისპაჩი (შვეიცარია)

უნივერსალი პარაოლიმპიელი. მისი მთავარი სახეობა ინვალიდის ეტლით რბოლაა, თუმცა, მაგიდის ჩოგბურთშიც ცდის ბედს და ველოსპორტშიც მონაწილეობს. ის ლეგენდარული პარაოლიმპიელია. მისი დებიუტი 1976 წელს შედგა, კარიერა კი 1988 წელს დაასრულა. მისი შედეგი გაინტერესებთ? 14 ოქრო, 6 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1988 წელს მან კარიერა დაასრულა, თუმცა, ეს მთლად ასე არაა. 2004 წელს ფრანცი კიდევ ერთხელ გამოჩნდა პარაოლიმპიურ თამაშებზე და ველოსპორტში ბრინჯაოს მედალი მოიგო. ასე რომ, ალბათ, არ გადავაჭარბეთ, როდესაც მას ლეგენდა ვუწოდეთ.

4. ჯონას იაკობსენი (შვედეთი)

ძნელი დასაჯერებელია, რომ პირველად პარაოლიმპიურ თამაშებში შვედმა ტყვიის მსროლელმა 1980 წელს მიიღო მონაწილეობა. ტყვიის სროლაში ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ სხვა პარაოლიმპიელ ტყვიის მსროლელს, რომელმაც ასე ადრე დაიწყო კარიერა და დღემდე ასპარეზობს. ამ ხნის განმავლობაში იაკობსენს მოგებული აქვს 16 ოქრო, 1 ვერცხლი და 8 ბრინჯაო.

3. მაუმი ნარიტა (იაპონია)

1996-დან 2004 წლამდე იაპონელმა მოცურავემ 15 ოქროს მედალი მოიგო. 2004 წელს კი მაუმიმ იგივე გააკეთა, რაც 2008-ში ფელპსმა. ნარიტამ შვიდ სახეობაში მიიღო მონაწილეობა და შვიდი ოქრო მოიგო.

ალბათ ურიგო შედეგი არ არის ადამიანისთვის, რომელსაც დამბლა აქვს.

2. შანტალ პეტიტკლერი (კანადა)

კანადელს 14 ოქრო აქვს მოგებული. ის ინვალიდის ეტლით რბოლებში მონაწილეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ შანტალმა შეუძლებელი შეძლო - მოიგო 100, 200, 400, 800 და 1500-მეტრიანი დისტანციები. ამაზე დიდი დომინაცია პარაოლიმპიური თამაშების ისტორიაში მხოლოდ ერთ სპორტსმენს ჰქონდა...

1. ტრიშა ზორნი (აშშ)

ტრიშა დაბადებიდან უსინათლოა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ 1980-დან 2004 წლამდე 46 პარაოლიმპიური მედალი მოეგო, აქედან 32 - ოქროსი.

არ გეგონოთ, რომ უსინათლო ტრიშა ცერებრალური დამბლით დაავადებულ, დამბლიან და ამპუტანტ სპორტსმენებს ეჯიბრებოდა ცურვაში და ამიტომ მოახერხა 46 მედლის მოგება. ის მხოლოდ მასსავით უსინათლოებს ეპაექრებოდა.

ბატონი ორჯერ სიკვდილზე უარს ამბობს

სამეფო რბოლებში საზაფხულო არდადეგების დასრულება უქმეებზე ბელგიის "სპა ფრანკოშამის" ეტაპის დაწყებით აღინიშნება. ფორმულა 1-ის სეზონის დასრულებამდე საჯინიბოებს ცხრაჯერ მოუწევთ ბოლიდების ტრასებზე შეგორება. მანამდე კი ჩემპიონთა დავაში ლიდერობს "ფერარის" ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო, რომელსაც 88 ქულით ჩამორჩება მაკლარენელი ჯენსონ ბატონი. ესპანელის დიდი უპირატესობის მიუხედავად, ბრიტანელი ფარ-ხმალს არ ყრის. პირიქით, იქამდე აპირებს ბრძოლას, ვიდრე ჩემპიონობის შანსი ექნება.

"ბოლო რამდენიმე რბოლა ჩვენთვის კარგად წარიმართა, - ბატონს ციტირებს Daily Star. - გერმანიაში, ჰოკენჰაიმრინგზე, მეორემ დავასრულე რბოლა, ლუის ჰამილტონმა კი უნგრეთის (ჰუნგარორინგი) დიდი პრიზი მოიგო. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ზაფხულის არდადეგებამდე ასეთი შედეგები გვქონოდა. ასე რომ, ბელგიის დიდ პრიზს ვუბრუნდებით საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი".

Daily Star-ის პარალელურად, totalrace.br აქვეყნებს ჯენსონ ბატონთან ინტერვიუს, რომელშიც ბრიტანელი მსოფლიო ჩემპიონი სეზონის პირველ ნახევარში წარუმატებლობის მიზეზებზე საუბრობს.

ბატონი იქამდე აპირებს ბრძოლას, ვიდრე ჩემპიონობის შანსი ექნება

- როგორ დაახასიათებდით ჩატარებულ სეზონს?

- დასაწყისში წარმატებული რბოლები გვქონდა, მაგრამ მერე, როდესაც გუნდმა მანქანის მოდერნიზება დაიწყო, პრობლემები შემექმნა. ვფიქრობ, სიახლეებს ვერ ავუღე ალღო. რამდენიმე რბოლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ბოლიდისთვის პირვანდელი მახასიათებლები დაგვებრუნებინა და მდგომარეობაც მეტ-ნაკლებად გავიუმჯობესე.

- ბრაზილიელ ფალკონს ერთხელ უთქვამს, რომ თითოეული სპორტსმენი ორჯერ კვდება. პირველად - როდესაც კონკურენტუნარიანობას კარგავს. მზად ხართ პირველი სიკვდილისთვის?

- ვფიქრობ, ეს არ არის შესაფერისი გამოთქმა. მიუხედავად ამისა, ვეთანხმები იმ აზრს, რომ სწორად უნდა შეირჩეს დრო კარიერის დასასრულებლად. მიყვარს ფორმულა 1, მაგრამ არ მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ ოდესღაც უნდა დავტოვო სამეფო რბოლები. ვიცი, რომ ცხოვრებაში ბევრი სხვა საინტერესო რამ არსებობს, მაგრამ არ ვისურვებდი ფორმულა 1-დან დროზე ადრე წასვლას. ასე რომ, მსგავსს არაფერს არ ვგეგმავ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრის მიღწევა შემიძლია. რა თქმა უნდა, არის ისეთი რაღაცებიც, რაც არ მსიამოვნებს, მაგრამ ეს არაა საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ კარიერა დავასრულო.

- ერთი წლით რომ აიღოთ შესვენება?

- ეს არც ისე უხიფათო იქნება. მართალი გითხრათ, ამის მიზეზსაც ვერ ვხედავ. რბოლების გარეშე დავიტანჯები. რაც მთავარია, ასეთი პაუზის შემდეგ, შესაძლოა, სიჩქარე დაკარგო.

- მიხაელ შუმახერსა და კიმი რაიკონენს თუ შევადარებთ, ამ უკანასკნელმა შეძლო შეენარჩუნებინა ჩქაროსნული მახასიათებლები. ეს ალბათ იმაზეა დამოკიდებული, რამდენი ხნით წახვალთ სპორტიდან, არა?

- პირველ ყოვლისა, არ უნდა დაგვიწყდეს, რომ კიმი უფრო ახალგაზრდაა. საგულისხმოა, რომ, ფორმულა 1-დან წასული, გამოდიოდა რალიში, სადაც ასევე საჭიროა რეაქცია და კონცენტრაცია.

- მიგაჩნიათ, რომ თუ მიხაელი სამი წლით არ დაემშვიდობებოდა ფორმულა 1-ს, დღეს უკეთესი შედეგები ექნებოდა?

- არ ვიცი. მან რამდენიმე საინტერესო რბოლა ჩაატარა. სასიამოვნო იყო ვალენსიაში (ევროპის დიდი პრიზი) მისი კვარცხლბეკზე ხილვა. ვფიქრობ, ყველას გაუხარდა მისი ეს წარმატება. მან შვიდი ტიტული მოიგო, საერთოდ კი 91 რბოლა აქვს მოგებული. უდავოა, რომ საყოველთაო პატივისცემას იმსახურებს.

- თქვით, რომ რაღაცები არ მოგწონთ ფორმულა 1-ში. მაინც რა არ მოგწონთ?

- ეს საიდუმლოა.

- მიგაჩნიათ, რომ კიდევ გაქვთ შანსი თქვენ, თქვენს თანაგუნდელს - ლუის ჰამილტონს, მარკ უებერს და სებასტიან ფეტელს ჩემპიონატში გაასწროთ ფერნანდო ალონსოს?

- თუ სეზონის დასაწყისში "ფერარის" ტემპს გავიხსენებთ, დღეს მათ აშკარა პროგრესი აქვთ. ფერნანდო სტაბილურად იღებს ქულებს და მეტოქეთა წარუმატებლობებიდან მაქსიმუმს იღებს. მისთვის სულ ერთია რამდენად სწრაფი ბოლიდი ჰყავს. ბოლომდე წარმატებისთვის იბრძვის. თუმცა, წინ რთული დრო ელის.

- ლუის ჰამილტონი მომავალ სეზონშიც თქვენი მეწყვილე იქნება?

- ვფიქრობ, ასე იქნება. ისე კი, წარმოდგენა არ მაქვს, რა ვარიანტებს განიხილავს. დღესდღეობით ის იმ გუნდშია, რომელსაც შესწევს უნარი, ორივე ჩათვლაში (მრბოლთა ჩემპიონთა დავა და კონსტრუქტორთა ჩათვლა) იბრძოლოს ლიდერობისთვის. მართალია, ბოლო წლებში მანქანა ყოველთვის არ აძლევდა საშუალებას ებრძოლა ჩემპიონობისთვის, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა საშუალება კონკრეტული ეტაპები მოეგო.

გორული ზღაპარი დასრულდა

"დილამ" საშუალო დონის პორტუგალიურ გუნდთან თანაბრად ითამაშა, გასვლაზე მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო და განმეორებითი თამაშის წინ ჯგუფურ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებდა. "მიხეილ მესხზე" თამაში ისე დაწყო, რომ სტადიონზე შეკრებულმა გულშემატკივარმა და ასი ათასობით ტელემაყურებელმა სასწაული დაიჯერა. "დილა" თამაშს აკონტროლებდა და პორტუგალიური გუნდის კართან გოლიც მომწიფდა, თუმცა ბურთს სალინის კარში შესვლა პრინციპულად არ უნდოდა. ერთხელ გოლი მაინც გავიდა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს, ერთხელ პორტუგალიელები ძელმა იხსნა, ერთხელაც ქართველ ფეხბურთელს არ გამოუვიდა კარგი დარტყმა. მოკლედ, ჩვენმა ბიჭებმა მომენტები ვერ გამოიყენეს და რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს ამუშავდა ცნობილი საფეხბურთო ჭეშმარიტება - არ გაიტან, გაგიტანენ.

პორტუგალიელთა პირველივე შეტევა ჰელდონის გოლით დასრულდა და ფაქტობრივად, აქ დამთავრდა გორელთათვის ყველაფერი. გაშვებული გოლის შემდეგ თემურ შალამბერიძის შეგირდებს ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად უკვე სამი გოლის გატანა სჭირდებოდათ, ეს კი შეუსრულებელი მისია გახლდათ. "დილამ" "ანორთოსისს" გასვლაზე მატჩის მეორე ტაიმში გაუტანა სამი გოლი, თუმცა "მარიტიმუ" "ანორთოსისი" არ გახლავთ და პორტუგალიურ გუნდს საჭირო ანგარიშის შენარჩუნება არ გაუჭირდა.

გორელები მეორე ტაიმშიც ახლოს იყვნენ მეტოქის კარის დალაშქვრასთან, მაგრამ როგორც იტყვიან, 30 აგვისტო "დილას" დღე არ იყო.

შეხვედრის მიწურულს პორტუგალიელებმა ჩვენი გუნდი კონტრშეტევაზე დაიჭირეს და მეორე გოლიც გაიტანეს.

ამრიგად, დასრულდა გორული გუნდის ევროპული ეპოპეა. დებიუტისთვის შედეგი ურიგო ნამდვილად არ გახლავთ. ახლა ალბათ, მთავარია "დილას' ხელმძღვანელებმა შემადგენლობის შენარჩუნება მოახერხონ, საქართველოს ჩემპიონატში მაღალ დონეზე ითამაშონ და მომავალ სეზონში ამ გუნდს უკვე იმის გამოცდილებაც საკმარისი ექნება, რომ ევროპის ლიგის, ან თუნდაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გასვლაზე რეალური პრეტენზია განაცხადოს.

დილა - მარიტიმუ 0:2

გოლი: 0:1 ჰელდონი (42), დანილო დიასი (90)

გაძევება: ანტონიო (55)

დილა: სკენდერი, სალუქვაძე (კაპ.) (თომაშვილი 17), ონიანი, ილურიძე (ახალკაცი 46), ვაწაძე, გოგუა, გრიგალაშვილი, კვირკველია, გურული, ბეჭვაია, კაშია (კახელიშვილი 63).

მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე

მარიტიმუ: სალინი, მირანდა, ფიდელისი, ჰელდონი (როსი 67), რობერგე, სამი (დანილო დიასი 73), ოლიმი, ბრიგელი (კაპ.), ანტონიო, გილერმე, სიმაუ (როსარიო 58).

მწვრთნელი: პედრუ მარტინში

ახალი ლიგა და ინიესტა

მონაკოში ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი რვა ჯგუფში გადაანაწილეს. ჯგუფები შეკრეს ჟორჟ ვეამ, რუუდ გულიტმა, ფეხბურთში სხვა სერიოზულმა პერსონებმა. ყველაზე საინტერესო, თანაბარი გარჩევები წავა D ჯგუფში. "რეალის" და პორტუგალიელი პროფესორის ტერიტორიაზე "ბორუსია", "აიაქსი" და რობერტო მანჩინის "სიტი" ჩავლენ. "იუვენტუსის" და "ჩელსის" საუბარიც საინტერესო იქნება. არ გაუმართლა "სპარტაკს". უპერსპექტივო ვოიაჟი ბარსელონაში, რთული თამაშები "ბენფიკასთან" და ჯიუტ "სელტიკთან". კარლო ანჩელოტის მილიონერები ჩადიან კიევში, პორტუგალიაში და ზაგრებში. პსჟ მოუმატებს და ალბათ, ჯგუფის ფავორიტი იქნება.

იქვე, ლამაზი საღამოს ბოლოში მიშელ პლატინიმ საინტერესო პრიზით, სეზონის საუკეთესო მოთამაშე დააჯილდოვა.

And the OSCAR goes to... ანდრეს ინიესტა! იქვე, "ბარსელონას" კარგ ბიჭთან ერთად მესი და "რეალის" პოპულარული პიჟონიც იდგნენ.

A ჯგუფი: პორტო, დინამო (კიევი), პსჟ, დინამო (ზაგრები).

B ჯგუფი: არსენალი, შალკე, ოლიმპიაკოსი, მონპელიე.

C ჯგუფი: მილანი, ზენიტი, ანდერლეხტი, მალაგა.

D ჯგუფი: რეალი, მანჩესტერ სიტი, აიაქსი, ბორუსია.

E ჯგუფი: ჩელსი, შახტარი, იუვენტუსი, ნორდსიელანდი.

F ჯგუფი: ბაიერნი, ვალენსია, ლილი, ბატე.

G ჯგუფი: ბარსელონა, ბენფიკა, სპარტაკი, სელტიკი.

H ჯგუფი: მანჩესტერ იუნაიტედი, ბრაგა, გალათასარაი, კლუჟი.



სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ანდრეს ინიესტა

"რეალმა" პირველი ტიტული მოიგო

2012-13 წლების საფეხბურთო სეზონში მადრიდის "რეალმა" პირველი ტიტული უკვე მოიგო. ესპანეთის სუპერთასის ორრაუნდიან დაპირისპირებაში "სამეფო კლუბმა" "ბარსელონა" დაამარცხა. პირველი თამაში კატალონიაში გაიმართა და "ბარსელონას" გამარჯვებით, ანგარიშით 3:2 დასრულდა. განმეორებით მატჩში "რეალმა" 2:1 გაიმარჯვა და მეტოქის მინდორზე გატანილი ორი გოლის წყალობით დაეუფლა სუპერთასს.

"ეს მატჩი კარგად დავიწყეთ და პირველი ტაიმის დებიუტში ორი გოლი გავიტანეთ. მეორე ტაიმში პოზიციები დავთმეთ, მაგრამ მთავარია, რომ ტიტული მოვიგეთ. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა თამაშს უნდა მოვუმატოთ. ეს ტიტული კი საკუთარი თავის რწმენას შეგვმატებს", - განაცხადა კრიშტიანუ რონალდუმ.

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა გაიმეორა "რეალის" ლეგენდარული ჩილელი ფორვარდის ივან სამორანოს რეკორდი - ზედიზედ მეხუთე გოლი გაიტანა "კლასიკოში".

ბერბატოვმა "ფიორენტინა" გააცურა

"მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ფიორენტინას" შორის წინასწარი შეთანხმებით მანჩესტერელთა ბულგარელ ლეგიონერს დიმიტარ ბერბატოვს ფლორენციელთა მაისური უნდა მოერგო, მაგრამ დგუშინ გავრცელებული ინფორმაციით მხარეებს შორის შეთანხმება არ შედგა. არადა, იტალიურმა კლუბმა დაადასტურა, რომ მანჩესტერელებთან გარიგების პირობებზე შეთანხმდნენ და ბულგარელის სატრანსფერო თანხის პირველი შენატანიც გააკეთეს, მაგრამ იტალიური კლუბის მიერ დღეს გაკეთებული ოფიციალური განცხადებით, ტრანსფერი არ შედგება.

"ფიორენტინამ" ბერბატოვსა და მის მენეჯერს ფლორენციაში პირდაპირი საჰაერო რეისის თანხა გადაუხადა, მაგრამ მოთამაშე არ ჩამოფრინდა. მომხდარს სხვა კლუბების უგუნურ ქმედებებთან მივყავართ, რომლებმაც არაფერი არ იციან სპორტში წესიერებისა და ეთიკის შესახებ. აი, ბერბატოვის მახასიათებლებისა და ტექნიკური ღირსებების მიუხედავად, გვიხარია, რომ ის "ფიორენტინაში" არ გადავიდა. ის არა ღირსი ატაროს ჩვენი კლუბის მაისური", - ვიტყობთ ფლორენციული კლუბის ოფიციალურ განცხადებიდან.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ ბულგარელი თავდამსხმელი ახლოსაა "ფულემში" გადასვლასთან, რასაც ადასტურებს კლუბის მწვრთნელი მარტინ იოლი. ირკვევა, რომ ბერბატოვი "ფულემში" სამედიცინო შემოწმებას გადის.

"პორტუმ" ჰალკი 50 მილიონად არ გაყიდა

ბრაზილიის ნაკრებისა და პორტუგალიური "პორტუს" ფორვარდის ჰალკის შეძენით რუსეთის ჩემპიონი "ზენიტია" დაინტერესებული. "პორტუს" პრეზიდენტის, პინტუ და კოშტას განცხადებით, ნევისპირული კლუბის ხელმძღვანელები ჰალკში 50 მილიონ ევროს იხდიდნენ.

"ზენიტის" ხელმძღვანელებმა ჰალკში 50 მილიონი ევრო შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენ ფორვარდი მაინც არ გავყიდეთ", - ამბობს პინტუ და კოშტა.

"ბაიერნმა" ხავი მარტინესი შეიძინა

ბილბაოს "ატლეტიკის" ფეხბურთელი ხავი მარტინესი უკვე ოფიციალურად მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელია. "რეკორდმაისტერის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბასკმა "ბაიერნთან" 2017 წლის 30 ივნისამდე გააფორმა კონტრაქტი.

ტრანსფერის ღირებულება არ სახელდება, თუმცა, ესპანურ მედიაში არაერთხელ დაიწერა, რომ "ატლეტიკი" მარტინესს 40 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელეოდა.

"ბედნიერი ვარ და მოუთმენლად ველი, როდის გავმართავ პირველ მატჩს ისეთი დიდი გუნდის შემადგენლობაში, როგორიც "ბაიერნია", - განაცხადა მარტინესმა.

კრკიჩი "მილანმა" ითხოვა

"მილანმა" ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია კრკიჩის იჯარით აყვანის თაობაზე. ფორვარდი "როსონერიში" იჯარის წესით ერთი წლის განმავლობაში ითამაშებს. "ბარსელონას" სკოლის აღზრდილი ფორვარდი გასულ სეზონში "რომას" ღირსებას იცავდა და 33 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

"იუვენტუსმა" მეკარე შეიძინა

ტურინის "იუვენტუსმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ გააფორმა კონტრაქტი ბრაზილიელ მეკარე რუბინიოსთან. შეთანხმება ძალაშია 2013 წლის 30 ივნისამდე. 30 წლის მეკარე ადრე "კორინთიანსის", "სეტუბალის, "ჯენოას", "პალერმოს", "ლივორნოს" და "ტორინოს" ღირსებას იცავდა.

უოლკოტი და "არსენალი" ახალ კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ

"არსენალმა" თეო უოლკოტი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ დაითანხმა. როგორც ჩანს, ვენგერის გუნდი კიდევ ერთ ლიდერს დაკარგავს. ლონდონელებმა 23 წლის თავდამსხმელი ვერ დაარწმუნეს, რომ ახალი 5-წლიანი კონტრაქტი მისთვის კარგი შეთავაზება იყო. "არსენალი" მოლაპარაკების ახალი რაუნდისთვის მზადაა, მაგრამ ბრიტანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, "მეთოფეები" ფეხბურთელს 17 მილიონ ევროდ შეელიონ. უოლკოტი "არსენალში" 2006 წლიდან თამაშობს და 222 მატჩში 42 გოლი გაიტანა. შეიძლება ითქვას, რომ "არსენალი" თავის პრინციპებს არ ღალატობს და ყოველ ზაფხულს ყიდის ლიდერებს. გავიხსენოთ უახლოესი წარსული. 2011-12 წლების სეზონის დასაწყისში "მეთოფეებმა" ფაბრეგასი და ნასრი გაუშვეს, მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში კი ვან პერსი და სონგი გაყიდეს. სულ მალე ამ სიას ალბათ თეო უოლკოტი დაემატება.

კიმ კლაისტერსი, კარგი დედა ბელგიიდან

პირველი გვერდიდან

ჯერ ანენმა გახსნა ფიქსატორი. მალე კიმის ნავახაც გაიხსნება.

კიმი ეძებს სტაბილურობას კორტზე და პირადულში. კლაისტერსი ვერ იგებს იქ, სადაც ხსნიან ჯეკპოტებს ანენი, უილიამსები, რუსები. კლაისტერსი ვერ იგებს იქ, სადაც სხვები სხვა, ოჯახურ ჯეკპოტებს ხსნიან. ავსტრალიური არდადეგები ლეიტონ ჰიუიტთან, ამერიკული ვოიაჟი ამერიკელ კალათბურთელთან, მისტერ ბრაიან ლინჩთან. კიმი ჩადის ნიუ ჯერსიში და გარდენ სთეითში ბრაიანის სამ ოთახში რჩება. კლაისტერსმა და ლინჩმა მაგარი მასტი, ჯადა ლინჩ-კლაისტერსი გაშანსეს.

კიმი მიდის ჩოგბურთიდან. 18 თვე ოჯახში. დილით - ქმარი, ყავა, კრუასანი. შუადღეს - ქმარი, ჩიზბურგერი, ფორთოხლის წვენი. საღამოს - ჯადა, ქმარი, ცივი ჩაი, ვანილის ნაყინი. ნუ, დაახლოებით ეგეთი რეჟიმი აქვს რა. კლაისტერსი შეიცვალა და შეიცვალა ჩოგბურთიც. კლაისტერსის გარეშე ჩოგბურთმა წვერი მოუშვა, პირს არ იპარსავს, ღამის ბარებიდან არ გამოდის. და კიმი ბრუნდება.

2009. კლაისტერსი ჩადის ნიუ იორკში. წაუსეშენა ჯეიმს ჰეთფილდთან ერთად. გაასწორა, საინტერესო იყო. ჯეიმსთან ერთად ყოველთვის საინტერესოა. ჩავიდა კორტზე, წაივარჯიშა და დაუმესიჯა US Open-ის ბოსებს, თუ არ გაგიტყდებათ, ძირითად ბადეში ჩამსვით და სადღაც, მესამე წრემდე ყველა ვარიანტში გავქაჩავო. ბოსებმა მაკაგონის კარი გამოიხურეს, წაითათბირეს და კიმი ძირითადში ჩასვეს.

კიმ კლაისტერსმა კარიერა დახურა

კლაისტერსმა შეუბერა.

I წრე. ვიქტორია კუტუზოვა. კიმი გაერთო, 6:1, 6:1. თან, იქვე ბავშვს წაეთამაშა.

II წრე. უკვე ცოტა სერიოზული ამბები მოდის. რეიტინგის მეთოთხმეტე გოგონა, მარიონ ბარტოლი. 5:7, 6:1, 6:2.

III წრე. კირსტენ ფლიფკენსი კიმის დაქალია. კორტზე დაქალობა არ მოსულა. 6:0, 6:2. კლაისტერსის. ფლიპკენსმა თითქმის იტირა. კლაისტერსმა თითქმის იდეალურად ითამაშა.

IV წრე. ვენუს უილიამსი. პირველ სეტში კიმი მარლონ ბრანდოა, 6:0. მეორე სეტში კიმი ფრედო კორლეონეა, 0:6. მესამე სეტში კიმი სანტინო გახდა და ბრექი ვენუსი დალეწა, 6:4. ბელგიელი მეოთხედფინალში შედის.

მეოთხედფინალი. ნა ლი მაგარი ჩინელია. იაო მინის შემდეგ, ყველაზე პოპულარული ჩინელი. კიმი პოპულარობას ორ სეტში, 6:2, 6:4 შლის.

ნახევარფინალი. სერენა უილიამსი. 6:4, 7:5, კიმმა ბონუსი დასვა. ბუნჩულა სერენამ ხაზის მსაჯს მიგახრჩობ, შე ახვაროო, დაუყვირა და უილიამსი დაისაჯა. სერენა კუთხეში დააყენეს, მაგრამ კიმი იმ ამბის გარეშეც შოკოლადის გოგონაზე კარგი იყო. კიმი გახდა პირველი, რომელმაც ერთ ტურნირზე ორივე უილიამსი გადაჭრა.

ფინალი. კიმი ბოლო აკორდსაც ჰეთფილდურად იღებს. ვოზნიაკკიმ მოისმინა ბელგიური ქავერი თემაზე Sad But True. კლაისტერსი იგებს ფინალს 7:5, 6:3 და პირველ ოცეულში ბრუნდება. კიმი გახდა ტუნირის ისტორიაში პირველი Wild Card ჩემპიონი. კიმი გახდა დიდი სლემის ტურნირის კიდევ ერთი, მეორე ჩემპიონი დედა. ადრე, 32 წლის წინ უიმბლდონს ივონ გულაგონგ კოული იგებს. კიმი დაბრუნდა.

შემდეგ სეზონში კიმმა დაიცვა ბონუსი ნიუ იორკში. US Open კიმის ფავორიტი თემაა. ზედიზედ სამი წაუგებელი (2005, 2009-10) ივენთი ნიუ იორკში. ბოლო ტესტში ბელგიურმა პილორამამ პატარა ვერა ზვონარევა გადახერხა, 6:2, 6:1.

კარგი ფეხბურთელის და პოპულარული ტანმოვარჯიშის შვილმა, კიმ კლაისტერსმა ერთეულებში 41 ტურნირი მოიგო. ბევრია. კიმისთვის, მისი არითმიული კარიერისთვის არარაეალურად ბევრია. კლაისტერსმა მოიგო სამი US Open და ერთი Australian Open (2011). სამჯერ (2002-03, 2010) აიღო გრემი სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე, არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე.

კლაისტერსი: "ჩემთვის ეს დიდი, ლამაზი გასეირნება იყო. არა მარტო ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის. ჩოგბურთს ცხოვრების საუკეთესო წლები მივეცი და ჩოგბურთმა ცხოვრების საუკეთესო მოგონებები შემინახა. ახალი, შემდეგი გასეირნებისთვის ვემზადები. იქ ჯადა და ბრაიანი იქნებიან."

შემდეგი გასეირნება ნიუ ჯერსიში იქნება. ან სადმე სხვაგან, სადაც ცოტა ჩოგბურთი და ბევრი ოჯახი წამოვა. კიმი ისვენებს. ჩოგბურთიც დაისვენებს. ახალი გასეირნება აღარ გაშუქდება და კიმის მოგონებებიც მოგონებებში დარჩება. კლაისტერსი ჩოგბურთი იყო. და ჩოგბურთმა ბუთხუზა ბელგიელის ნიჭი, სექსუალური ჭორფლი და თბილი ღიმილი დაკარგა.

კიმი ისვენებს.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge